745 N 11584

ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 33 (1368) 28.X – 2.XI, 1993 წ.

## ღია წერილი ზვიად გამსახურდიას და მის მომხრეებს

ბატონო ჩემო, მე ერთი ამომრჩეველთაგანი ვარ, ვინც 1990 წლის ოქტომბრის არჩევნებში „მრგვალ მაგიდას“ მისცა ხმა, ვინც 1991 წლის 26 მაისს, საპრეზიდენტო არჩევნებში ასევე თქვენ მოგცათ ხმა.

ერთი სიტყვით, მე გახლავართ იმ 87 პროცენტთაგანი, ზვიად გამსახურდიას გაპრეზიდენტებას რომ მისცა დასტური.

დავდივარ ახლა დაბეჩავებული და გიყივით კებუტბუტები ჩემს თავს — რატომ არ მომტყდა ის მარჯვენა, რომლითაც საარჩევნო ყუთში ბიულეტენი ჩაგიგდეთ.

რატომ არ მომტყდა ორივე ფეხი სახლიდან რომ გამომიყვანა თქვენთვის ხმის მისაცემად.

რა იყო, თქვე კაი დედმამიშვილო, რას შეგვჭამე იმის ძახილით, კანონიერი პრეზიდენტი ვარ და ნებით თუ არა, დიდი სისხლით დავიბრუნებ ჩემს პრეზიდენტობასო.

კანონიერი იმითი იყავით, მე და ჩემისთანებმა რომ მოგცეს ხმა. ამით სამუდამო ალქმა კი არ მოგვიცია, ოღონდ თქვენ პრეზიდენტი იყავით და თუ გინდ ჩვენი შვილების გვამებზე გადაიარეო.

ადამიანო, საკუთარ ცოლს გავეყარე ისე როგორც თქვენ და ამით ქვეყანა არ დაქცეულა.

რა ჯვარი დავიწერეთ ამისთანა თქვენზე, გაყრას რომ ამდენის სისხლის ფასად გვიჯვჯნ.

ესეც არ იყოს, თქვენს აქედან გაძევებას ჩვენ არავინ შეგვკითხვია. კიტოვანმა, სიგუამ და იოსელიანმა დაგამხეს. ეს ამბავი მაშინ მეწყინა კიდეც, მაგრამ რა ვქნათ ახლა, ვერ ჩაგყევით გროზნოში. მერე იმ ხელით თქვენ რომ მოგეცით ხმა, შევარდნაძე ავირჩიე, რა ვქნა ახლა, ეს ჩემი გასახმობი მარჯვენა მაშინ თუ იქცეოდა კანონიერად როცა თქვენ გაძლევდით ხმას, რაღა მაინცდამაინც მაშინ გახდა უსაქციელო და უკანონო, როცა შევარდნაძის მეთაურობა დაადასტურა?

ესეც არ იყოს, როგორც გითხარით, კიტოვანმა, სიგუამ და იოსელიანმა ჩამოგაგდეს. ბუნებრივია, მათდამი ბოღმა და სიძულვილი გაქვთ. შევარდნაძისადმი თავისთავად.

ჰოდა, ჩემო ბატონო, თქვენ და თქვენი გუნდი, აქეთ ესენი კიდევ, გადით მინდორში, დასცხეთ, დაერიეთ ერთმანეთს. ასეც გიქნიათ დაგიწყვეტიათ ერთმანეთი, ჩვენ თავი დაგვანებეთ. და-გვა-ნე-ბეთ!

ხალხო, ზვიადისტებო, გუშინ და გუშინწინ ნორმალურო ადამიანებო, ნორმალურო ქართველებო, რამ შეგშალათ ჭკუიდან, რამ გაგაბრიყვათ, როგორ გამოგათაყვანათ ასე მამაძაღლმა აბელა სეთურმა.

კაი ბატონო, აიღეთ სამტრედია, აიღეთ ხონი, აიღეთ ქუთაისი, ზესტაფონი, ხაშური, გორი, თბილისი, დაწყვეთ გვამების ჩაწოლილი ტყე. რას იტყვით მერე ეს გამარჯვებულები?

კანონიერი პრეზიდენტი დავაბრუნეთო?

რად გინდათ ის კანონიერება, მის აღსადგენად ნახევარი საქართველო რომ უნდა დაინგრეს და განადგურდეს?

რად გინდათ ის პრეზიდენტი, თქვენი ძმების გვამებზე გადავლით თუ დაიბრუნებს ტახტს?

ამდენი ძალა თუ გქონდათ, სოხუმს მიშველებოდით.

მთელი აფხაზეთი ერთ კაცად როგორ არ გიღირთ?

P.S. პატარა რჩევა ამ ხელისუფლებასაც მინდა მივცე. ვაის გავეყარე და უის შევეყარეო, ისეა ჩვენი საქმე. გამსახურდია თქვენ თვითონ გააძლიერეთ, მომხრეები თქვენ შემატეთ. თქვენს ხელისუფლებაში მოკალათებული ბანდიტების თარეში ხალხს ყელში ამოუვიდა.

დაალაგეთ ქვეყანა, თორემ არც თქვენზე მაქვს ჯვარი სამარადჟამოდ დაწერილი. ნუ გამიხდით ამ ჩემი კიდევ ერთხელ გასახმობი მარჯვენა ხელის საქციელს არჩევნების დროს კვლავ სანანებლად.

**მკითხველი**

## ნოდარ ლომოურის მედგარი გამოსვლის გამო

საზოგადოება „თბილისელის“ გახმაურებულ შეკრებაზე ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში მიღებულ იქნა ზვიადიზმის დამგმობი რეზოლუცია.

ამ რეზოლუციას საკუთარი ინიციატივით პატარ-პატარა დამატებებით წაეშველა პროფესორი ნოდარ ლომოური, რომელმაც ძველი ცაკის კომისრის ტონითა და შემართებით ისეთი „მარგალიტები“ გადმოაფრქვია, რომ რეზოლუციის ძირითადი ტექსტის ავტორებიც კი უხერხულ დღეში ჩააგდო.

რასაც დათვური სამსახური ჰქვია, ამის კლასიკური ნიმუში გახლდათ ნ. ლომოურისაგან ხელისუფლების თავგამოდებული მხარდაჭერა. გთავაზობთ ნ. ლომოურის გამოსვლის სასიმღერო ვარიანტს. ტექსტი მართალია სხვაა, მაგრამ ორატორის დამატებების არსს იგი ზედმიწევნით ზუსტად გადმოსცემს:

სოლო (ნ. ლომოური)

თეთრია თუ შავია,
ყველა დამნაშავეა!
გუნდი: და-მნა-შა-ვე-ააა!
სოლო: ერია თუ ბერია
ყველა დასაჭერია!
გუნდი: და-სა-ჭე-რი-ააა!

(ტაში).

## სამოქალაქო ომი ხალხის თვალით

საქართველოში სამოქალაქო ომს რომ არავითარი ობიექტური საფუძველი არ გააჩნია, ამის დასაბუთება ძნელი არ არის.

აღმოსავლეთში შიიტები და სუნიტები რელიგიურ ნიადაგზე არიან ერთურთს წაკიდებულნი.

საფრანგეთში სამოქალაქო ომი ასევე რელიგიურ ნიადაგზე მიმდინარეობდა, ერთმანეთს ებრძოდნენ კათოლიკენი და პროტესტანტები. რუსეთში სოციალურმა და იდეოლოგიურმა დაპირისპირებამ (მდიდრები — ღარიბები, სოციალისტები — ანტისოციალისტები) გამოიწვია თავის დროზე დიდი მასშტაბის სამოქალაქო ომი.

რისთვის ებრძვის საქართველოს ერთი ნაწილი მეორეს?

ვთქვათ, სამტრედიაში, ერთი და იგივე ქუჩაზე მცხოვრებ ორ ქართველ ბიჭს შორის, ერთმანეთს რომ სხვადასხვა პოზიციებიდან ესვრიან, რომელ სოციალურ, რელიგიურ ან იდეოლოგიურ დაპირისპირებაზე შეიძლება იყოს საუბარი?

ერთადერთი, რა მიზეზიც ქობალიას ჰქონდა თბილისზე გამოსალაშქრებლად, იყო მოთხოვნა კანონიერი ხელისუფლების აღდგენის შესახებ.

ანუ ომი სკამების დასაბრუნებლად.

განა აბსურდული არ არის სკამის გულისთვის ამხელა ომის ატეხვა?ხალხმა გუმანით იგრძნო, რომ საუკუნის აბსურდთან გვაქვს საქმე და ერთი გენიალური ანეგდოტი შექმნა ამ ტრაგიკომიკურ ფაქტთან დაკავშირებით, რასაც ჩვენივე ქალაქების აღება და ხელიდან ხელში გადასვლა ჰქვია.აი, ეს ანეგდოტიც:

შევა ქალაქში გამსახურდიას ჯარი და შეშინებულიმოქალაქენი ყვირიან — გამსახურდიას გაუმარჯოს!

შევა იმავე ქალაქში სამთავრობო ჯარი და იგივე მოქალაქენი გაიძახიან — შევარდნაძეს გაუმარჯოს!

დაიღალა ხალხი. ველარ გაიგეს დილით რომელი მხარე დაადგება თავს და ამიტომ გაბეზრებულნი აყვირდნენ —

ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა აზრის ბრძანდებით «ესენგეში» შესვლასთან დაკავშირებით?

## ვიდავოთ ჭეშმარიტებისათვის!

ᲓᲦᲔᲡ „ᲔᲡᲔᲜᲒᲔᲡ“ მოწინააღმდეგეებს გადაჭარბებული ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ, რადიოს, სამᲬᲔᲠᲝ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ გზა, მაგრამ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ დიდხანს ვერ დაიმალება. მისი მსჯელობა ისტორია, მომავალი, ზოგჯერ (სამწუხაროდ) — აწმყოც კი. ქვემოთ ვთავაზობთ მკითხველს ნ. ნათაძის წერილს „ესენგე“, მისი დებულება და რაობა“. ვთხოვთ „ᲔᲡᲔᲜᲒᲔᲨᲘ“ შესვლის მომხრეებს, მათ შორის სახელმწიფოს მეთაურს ბატონ ე. შევარდნაძეს, ჩათვალონ, რომ მიწვეულნი არიან ამ თემაზე ღია კამათისთვის ჩვენი ღარიბი გაზეთის ფურცლებზე. ჩვენი კითხვებია:

შეუძლია საქართველოს „ესენგედან“ გამოსვლა? პასუხია არა!

არის თუ არა „ესენგეში“ ყოფნა დამოუკიდებლობის დაკარგვა? პასუხია: არის!

გვიცავს თუ არა „ესენგეში“ ყოფნა საგარეო ომებისაგან „ესენგეს“ სხვა წევრებთან ან მათ შეიარაღებულ მოქალაქეებთან? პასუხია: არ გვიცავს!

გვიშველის თუ არა „ესენგე“ ეკონომიკურად? პასუხია: ალბათ არა და ვერა!

ვისაც ამ კითხვების სხვა პასუხი ეგულება, დაე ვიკამათოთ!

> „მაგრამ ვინ იცის, იგი იქნება უკეთ ჰფიქრობდეს რაც გვეჭირება?“

**გიგა ლორთქიფანიძე:**

— სხვა გზა ვერ წარმომიდგენია. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ესენგეში შესვლა ერთადერთი გამოსავალია.

ბევრად უკეთესია ესენგეში შესვლა, ვიდრე რუსეთთან ორმხრივი ხელშეკრულების დადება, რადგან ამ შემთხვევაში ჩვენს გვერდით იქნებიან ყოფილი კავშირის სხვა რესპუბლიკები.

მე ვფიქრობ, ესენგეში იმიტომ კი არ უნდა შევიდეთ, რომ ერთადერთი გამოსავალია, პირიქით, იმიტომ, რომ ჩვენს გვერდით აღმოჩნდებიან დანარჩენი რესპუბლიკებიც, სადაც ჩვენზე არანაკლები პატრიოტები ცხოვრობენ.

იმ ადამიანებს კი, რომლებიც ესენგეს მომხრეების სიკვდილით დასჯას მოითხოვენ, მრავალი ადამიანის დასჯა მოუწევთ, რადგან მთელი გონიერი საქართველო დღეს ამ აზრზეა.

* * *

**ჯანსულ ჩარკვიანი:**

— უპირველეს ყოვლისა აღვნიშნავ, რომ დღეს საქართველოს განსაკუთრებით უჭირს. გარეშე მტერს დაემატა შინაშლილობა. შინაურმა მტრებმა უარესი გვიყო. სწორედ ამ დროს ჩვენს მეზობელ რუსეთში დემოკრატიული ძალები იმარჯვებენ. დასავლეთმა, რომლის იმედიც ჩვენ გვქონდა, თავისი შესაძლებლობები თითქმის ამოწურა და იმედები გადაგვიწურა. ჩვენ დავრჩით იზოლირებულნი, ხოლო საკუთარი თავის ანაბარა დარჩენა დღესდღეობით საქართველოს არ შეუძლია. ჩემი ღრმა რწმენით ასეთ დაძაბულ სიტუაციაში სწორი გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს ხელმძღვანელმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ. მან საქართველოს ბედი და იღბალი თავის თავზე აიღო. გადაწყვიტა ისტორიის წინაშე თავად აგოს პასუხი. ახლა ის დროა, როცა მხოლოდ დღევანდელობის თვალით ვერაფერს განჭვრეტ. დიდმა პოლიტიკოსმა სამომავლოდ უნდა იფიქროს. ატყდა განგაში. ნეტა ასეთი განგაში მაშინ აგვეტეხა, როცა ქაროველმა ქართველზე იარაღი შემართა.

# „ᲔᲡᲔᲜᲒᲔ“, ᲛᲘᲡᲘ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲠᲐᲝᲑᲐ

(ᲛᲝᲙᲚᲔ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘ)

**ᲜᲝᲓᲐᲠ ᲜᲐᲗᲐᲫᲔ**

„ᲔᲡᲔᲜᲒᲔᲡ“ დებულების ანალიზს მეტი ადგილი სჭირდება ᲞᲚᲝᲒᲘᲗ 50 მანქანაზე ნაბეჭდვერდი), ვიდრე გაზეთ „საᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ“ მოეპოვება ამჟამიტომ მკითხველს ვთავაზობ ᲛᲮᲚᲝᲚᲝᲓ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲡ.

ᲔᲡᲔᲜᲒᲔᲨᲘ საქართველოს ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ მოძრაობები გვეუბნება, რომ ამ ორგანიზაციაში საქართველოს შეუძლია გამოვიდეს, როცა კი მოინდომებს. ᲐᲡᲔᲗᲘ იყო, მართლაც ჩვენი უფლება საბჭოთა კავშირში (როგორც ვიცით ამ უფლების ფაქტობრივი გამოყენება ჩვენ არ შეგვეძლო). „ᲔᲡᲔᲜᲒᲔᲨᲘ“ ჩვენი მდგომარეობა კიდევ უარესია, ვიდრე სსრკ-ში იყო. სახელდობრ, იმისათვის რომ ᲔᲡᲔᲜᲒᲔᲓᲐᲜ გავიდეთ, ჩვენ 12 თვით ადრე უნდა გავაფრთხილოთ ჩვენი პარტნიორები. ᲪᲮᲐᲓᲘᲐ, 12 თვე საკმარისია, რათა ისე მოგვიჭირონ ხელი (ეკონომიკურადაც და შეიარაღებული კონფლიქტების ორგანიზაციითაც), რომ ᲔᲡᲔᲜᲒᲔᲓᲐᲜ გასვლის განზრახვაზე ხელი აგვაღებინონ (პარაგრაფი 9). გარდა ამისა, ამავე მუხლში წერია: „ამ წესდებაში მონაწილეობის პერიოდში წარმოშობილი ვალდებულებანი აკავშირებენ შესაბამის სახელმწიფოებს მათ სრულ შესრულებამდე“. ეს იმას ნიშნავს, რომ სანამ რუსეთი (და სხვა მონაწილე ქვეყნები) არ ჩათვლიან, რომ საქართველომ მოიხადა ყველა ვალდებულება, რაც ᲔᲡᲔᲜᲒᲔᲨᲘ ყოფნისას მას დააკისრეს, ჩვენ ᲔᲡᲔᲜᲒᲔᲓᲐᲜ არ გაგვიშვებენ. გავითვალისწინოთ ისიც, რომ, ეკონომიკური შეთანხმებების თანახმად, ვალდებულებებს ათწლიანი ვადებიც აქვთ!

ამგვარად, ᲔᲡᲔᲜᲒᲔᲓᲐᲜ გამოსვლის გზა, პრაქტიკულად არ არსებობს.

2. „ᲔᲡᲔᲜᲒᲔᲨᲘ“ ყოფნა საქართველოსთვის ნიშნავს დანარჩენი წევრი სახელმწიფოების სრულ ბატონობას მასზე, ანუ საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, დემოგრაფიული თუ კულტურული ბედის სხვის მიერ განსაზღვრას ყველა სფეროში, რასაც კი ᲔᲡᲔᲜᲒᲔᲡ ერთობლივი ინტერესები ეხება. თანამეგობრობის „პრინციპთა“ შორის (პარაგრაფი 3) დასახელებულია „ერთმანეთისა და მთლიანად თანამეგობრობის ინტერესების გათვალისწინება“, და „ურთიერთთანხმობის საფუძველზე ურთიერთდახმარება“ „ყველა“ სფეროში რაც პრაქტიკულად იმის აღიარებაა, რომ ყოველ წევრ სახელმწიფოს მოქმედება მთლიანად დანარჩენთა ინტერესის საგანია. თანამეგობრობას ყავს „უმაღლესი ორგანო“ — „სახელმწიფოს მეთაურთა საბჭო“ რომელიც „წყვეტს პრინციპულ საკითხებს, რომლებიც უკავშირდება წევრ სახელმწიფოთა საქმიანობას მათი ინტერესების სფეროში“ (პარაგრაფი 21). თანამეგობრობას ჰყავს „საკოორდინაციო-საკონსულტაციო კაბინეტი“, რომელიც არის თანამეგობრობის „მუდმივმოქმედი, აღმასრულებელი და საკოორდინაციო ორგანო“, აგრეთვე „სამუშაო და დამხმარე ორგანოები როგორც მუდმივ, აგრეთვე დროებით საფუძველზე“ (პარ. 25). ამგვარად თანამეგობრობის უმაღლესი ორგანოს გადაწყვეტილებების შესრულება წევრ ქვეყნებში გარანტირებულია. თუმცა ნათქვამია, რომ ამ გადაწყვეტილებათა მიღება ხდება „კონსენსუსით“ (წევრ სახელმწიფოს აქვს ვეტოს უფლება), მაგრამ ეს უფლება იქვე გაჭარწყლებულია: „ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია განაცხადოს თავისი დაუიოტეოესებლობა იმათუმ საკითხით, რაც არ უნდა იყოს მიჩნეული დაბრკოლებად გადაწყეტილების მიღებისთვის“.

როგორც ვხედავთ, უმრავლესობის მიერ უმცირესობის მართვა (მიუხედავად „კონსენსუსისა“) სახეზეა, რასაც კიდევ უფრო ამძიმებს ის გარემოება, რომ ზემოხსენებული უზენაესი გადაწყვეტილებების მიღებაში თითო სახელმწიფოსგან მონაწილეობს თითო კაცი (ეროვნული პარლამენტის მიერ ამ გადაწყვეტილებას რატიფიკაცია არ სჭირ-

გაგრძელება მე-6 გვ.

# ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐ ᲙᲕᲚᲐᲕᲐᲪ ᲑᲝᲑᲝᲥᲠᲝᲑᲡ

Ა. Წ. 13 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ I ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲐᲜ ᲐᲣᲓᲘᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲗᲐᲜᲐᲛᲝᲐᲖᲠᲔᲗᲐ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲐ. ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲛᲐ ᲚᲘᲓᲔᲠᲛᲐ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲢᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲘᲡᲐᲣᲑᲠᲐ „ᲔᲡᲔᲜᲒᲔᲨᲘ“ ᲨᲔᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲣᲞᲕᲔᲚ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲖᲔ, ᲠᲝᲛ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲗᲐᲜᲐᲛᲝᲐᲖᲠᲔᲗᲐ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲐ. ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲕᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲔᲑᲝᲑᲡ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲐ:

ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ „ᲔᲡᲔᲜᲒᲔᲓᲐᲜ“ გამოსვლა? ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲐ ᲐᲠᲐ!

ᲐᲠᲘᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ „ᲔᲡᲔᲜᲒᲔᲨᲘ“ ᲧᲝᲤᲜᲐ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲕᲐ? ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲐ: ᲐᲠᲘᲡ!

ᲒᲕᲘᲪᲐᲕᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ „ᲔᲡᲔᲜᲒᲔᲨᲘ“ ᲧᲝᲤᲜᲐ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲝᲛᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ „ᲔᲡᲔᲜᲒᲔᲡ“ ᲡᲮᲕᲐ ᲬᲔᲕᲠᲗᲑᲗᲐᲜ ᲐᲜ ᲛᲐᲗ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲣᲚ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲗᲐᲜ? ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲐ: ᲐᲠ ᲒᲕᲘᲪᲐᲕᲡ!

ᲒᲕᲨᲕᲔᲚᲘᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ „ᲔᲡᲔᲜᲒᲔ“ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲐᲓ? ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲐ: ᲐᲚᲑᲐᲗ ᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲕᲔᲠᲐ!

ᲕᲘᲡᲐᲪ ᲐᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲔᲒᲣᲚᲔᲑᲐ, ᲓᲐᲔ ᲕᲘᲙᲐᲛᲐᲗᲝᲗᲝᲗ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა აზრის ბრძანდებით „ესენგეში“ შესვლასთან დაკავშირებით?

## ამირან ქადაგიშვილი

### ვიცე-პრემიერი:

მე თავიდანვე წინააღმდეგი ვიყავი საქართველოს სნგ-ში შესვლისა. ჩემის აზრით, ეს ნაბიჯი საქართველოს ეკონომიკას არაფერს მოუტანს. ჩვენ სნგ-ში შევედით ულტიმატუმის შედეგად. ალბათ, ეს გაკეთებულია ქვეყნის გადარჩენის მიზნით, მაგრამ როგორც ქართველისთვის, როგორც ვაჟკაცისათვის ულტიმატუმით მიღებული გადაწყვეტილება შეურაცხმყოფელი და მიუღებელია. ეს ერთი მხარეა. მეორე მხრივ, სნგ-ში შესვლა არავითარ დიდ საშიშროებას არ წარმოადგენს, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მომავალში მისგან შეიძლება შეიქმნას ახალი სსრკ, საიდანაც ისევე ვეღარ გავალთ, როგორც ვერ გავედით ადრე, თუმცა კი კონსტიტუცია თითქოს არ კრძალავდა ამას. მართალია, კარგია, რომ რუსეთში ლიკვიდირებულნი არიან ე. წ. რეაქციული ძალები — ხასბულატოვი, რუცკოი და სხვ. მაგრამ ეკონომიკური დაწოლა იქნება ძალიან ძლიერი, ფიზიკურზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

მე პირადად, ვგრძნობ, რომ ის თაობა, რომელიც სსრკ-ში გაიზარდა, რაღაც დონეზე გარუსებულია და, შემდეგი თაობები, შესაძლოა საერთოდ აღარ ყოფილიყვნენ ქართველები. ახლა არის საშიშროება, ეს პროცესი თავიდან დაიწყოს.

თუ სნგ-ში შესვლა დროებით გადაგვარჩენს კრიზისისაგან, დროებით მაინც მოგვცემს ამოსუნთქვისა და ეკონომიკის აღორძინების საშუალებას, მაშინ, ძლიერი ეკონომიკის ქვეყანამ შეიძლება სხვანაირად თქვას თავისი სიტყვა. ჩვენ რომ ამდენი დრო არ დაგვეკარგა, ეს წლები გამოგვეყენებინა და ნგრევის ნაცვლად რაღაც გაგვეკეთებინა და აგვეშენებინა, დღეს შეიძლება, საერთოდ არ დავმდგარიყავით ამ არჩევანის წინაშე და იქნებ აფხაზეთის ომიც კი აგვეცილებინა თავიდან.

## მიხეილ ნანეიშვილი:

### პარლამენტის წევრი

სნგ-ში ჯერ არ შევსულვართ, მაგრამ თუ შევალთ, დასრულებულად უნდა ჩაითვალოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კიდევ ერთი ეტაპი, რაც იმავდროულად იქნება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპის დასაწყისი, რომელიც უნდა დასრულდეს საქართველოს სნგ-დან გამოსვლით, ტერიტორიული მთლიანობის დაცვით.

მაგრამ, სანამ საქართველოს პარლამენტის მიერ არაა რატიფიცირებული მოსკოვში ხელმოწერილი დოკუმენტი, იგი იურიდიულად არასრულფასოვანია. ეს საკითხი საკონსტიტუციო თვისების მატარებელია და პარლამენტის მიერ კანონის მიღებამდე სნგ-ში შესვლის თაობაზე შესაძლებელია საჭირო გახდეს იურიდიული ექსპერტიზის დანიშვნა, რომ დადგინდეს ამ კანონის ხასიათი.

ეს იმას ნიშნავს, რომ სნგ-ს მომხრეებმა პარლამენტში ორი მესამედი უნდა მოაგროვონ კანონის მისაღებად. ამ პარლამენტში ეს საკითხი არ გავა

**«მაგრამ შენ, მეფევ, ვინ მოგცა ნება სხვას განუბრძო შენთან ყმათა ცხოვრება?»**

და „ესენგისტებს“ ორი გზა რჩებათ — რეფერენდუმი ან პარლამენტის დათხოვა და ახალი არჩევნების დანიშვნა, რასაც საკმაოდ დიდი დრო დასჭირდება. ამ დროის მანძილზე კი მოსალოდნელია საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედება.

## ჯემალ ქარჩხაძე:

### მწერალი

მკაცრად უარყოფითი. მგელს, რომელმაც ორჯერ უკვე შეგვჭამა, ჩვენი ნებით მესამედ ვუყოფთ თავს ხახაში. რუსეთი, როგორც ქვეყანა, უახლესი ერთი-ორი საუკუნის განმავლობაში მაინც არ იქნება საიმედო პარტნიორი, ამიტომ დღევანდელ დღეს მისი პირობების მიღება ჩვენთვის მეტად საზიანოა. ჩვენი თავი თავად უნდა გაგვეტანა ნებისმიერ პირობებში, ახლა კი შეიქმნა ისეთი სიტუაცია, რომ საქართველო კიდევ კარგა ხნით იქნება რუსეთის სატელიტი, ჩვენი სულიერი, ეკონომიკური, პოლიტიკური მდგომარეობა მთლიანად იქნება დამოკიდებული რუსეთზე და მის კეთილგანწყობაზე, ამიტომაც, ჩემი აზრით, საქართველო ყოველთვის იმაზე უარეს მდგომარეობაში იქნება, ვიდრე თავად რუსეთი.

## გელა ნიკოლეიშვილი.

### პარლამენტის წევრი

— საქართველოს შესვლა ესენგეში ეს არის მორიგი ილუზია, რომ ამით საქართველოს რაღაც ეშველება. ხშირშემთხვევაში შეიძლება ეს იყოს ზოგიერთი მოქალაქის გულწრფილი სურვილი, ზოგიერთს რაღაც მერკანტილური მოსაზრებები, ჩემი ღრმა რწმენით ესენგეში შესვლა დადებითის მხრივ არაფერს არ შეცვლის. არის დიდი სიფრთხე, რომ უარყოფითის მიმართულებით ბევრი რამე შეიცვლება.

## როინ ლიპარტელიანი — პარლამენტის წევრი

თუ ესენგეში შესვლით საქართველო დაიბრუნებს დაკარგულ ტერიტორიებს, მაშინ მე ვიქნები მომხრე. თუ ეს არ მოხერხდა მაშინ ეს იქნება დიდი დანაშაული. მიწათმოქმედთა კავშირი, რომელიც 60 ათას კაცს ითვლის და პარლამენტშიც 21 დეპუტატი ყავს, ამზადებს სპეციალურ მიმართვას. თუ ჩვენ რაღაც გარანტიები არ გვექნება წინააღმდეგნი წავალთ.

თუ ქართველმა ხალხმა რაიმე არ მოვიგეთ ეს იქნება ფარსი. ესენგეში ტაჯიკეთიც არის, რომელმაც 20 ათასი კაცი დაკარგა და მოლდავეთიც, რომელიც ასევე ტერიტორიებს კარგავს.

## თემურ ფიფია — სახელმწიფოს მათაურის აპარატის რეგიონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი:

— ის, რომ ჩვენ მოგვიწევდა ბრძოლა რუსეთთან, ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ არავითარ ეჭვს არ იწვევდა. მე კიდევ 3 წლის წინ, როცა ეროვნული მოძრაობის ერთი ნაწილი აქტიურად მიდიოდა ხელისუფლებისაკენ, ვთქვი ამის შესახებ. ამას დიდი ცოდნა არ სჭირდებოდა. ჩვენ დიდი გამოცდის ჩაბარება მოგვიწევდა, რომ არ მოვმხვდარიყავით იმ სფეროში, რომელსაც რუსეთის გავლენის სფერო ჰქვია. სხვათა შორის გამსახურდიას ხელისუფლება მიდიოდა ესენგესაკენ. ეს გამსახურდიამ საზოგადოებას შემოაპარა ერთ-ერთ ბოლო სესიაზე. შევარდნაძე საქართველოში ჩვენთვის იყო ერთადერთი იმედი. მისი უდიდესი გავლენა დასავლეთში, ის სამსახური, რაც მან მსოფლიოს გაუწია, ის იქნებოდა გარანტია იმისა, რომ დასავლეთის სამყარო მოგვაქცევდა ყურადღებას და მოგვეხმარებოდა იმ სიძნელეების დაძლევაში, რასაც რუსეთი აუცილებლად შეგვიქმნიდა. ამდენად იყო გამარჯ.ლებული ჩვენი დგომა ბატონი ედუარდის გვერდით. სხვა რეალურ ძალას მე ვერ ვხედავდი და ჩვენ არჩევანიც არ გვქონდა.

სამწუხაროდ საქართველოში ბევრი პრობლემა დაგროვდა, ბევრი საკითხები, პირველ რიგში ყოფილი პრეზიდენტისა. ადრეც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, იარაღის ძალით დამხობა, რამაც ჩვენ აქამდე მოგვიყვანა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა. ამან ჩვენ გაგვაორა, დაგვაპირისპირა. როცა ერი მიდის დამოუკიდებლობისაკენ, უნდა იყოს მთლიანი. წინა ხელისუფლების იარაღის ძალით დამხობით გავაკეთეთ ის რომ ერი დავშალეთ და დავაჭუცმაცეთ. არადა ის არ იყო ერის მცირე ნაწილი. ეს იყო ერთი მომენტი, რამაც საბოლოოდ აქამდე მოგვიყვანა. გაცილებით ადვილი იქნებოდა ბევრი პრობლემის მოგვარება, გამსახურდიას დასცლოდა და იმ ხალხით, ვინც მის გვერდით იქნებოდა გაეკეთებინა ის არჩევანი, რომლისკენაც რუსეთი გვიბიძგებდა, რადგან გამსახურდიას ხელისუფლებას დასავლეთთან მისასვლელი პირი ნამდვილად არ ქონდა. ეს ერთი მიზეზი იმისა, რომ ჩვენ იქ შევედით. მეორე მიზეზი ის ვითარებაა, რაც საქართველოს ეთნიკურად ჭრელ რაიონებშია. დღეს ჩვენ სამი დიდი ფრონტი გვაქვს. სამაჩაბლო, აფხაზეთი და სამეგრელო, არის კიდევ რამდენიმე ბომბი, რომელსაც რუსეთი როცა დასჭირდება, მაშინ ააფეთქებს.

მე მაინც მგონია, რომ ბევრი რამ მოხდა ჩვენი შეცდომებით. ჩვენს ხელისუფლებაში მომხდარი შეცდომებით, მაგრამ მე ამას შეცდომებს არ ვუწოდებ, რამდენადაც დაპირისპირებული ძალები ხელისუფლებაშიც არსებობენ. მე მომსწრე ვარ და შემიძლია ვთქვა — მართალია ბევრი უფლებები ჰქონდა სახელმწიფოს მეთაურს, მაგრამ არასოდეს ჰქონია თავისუფალი არჩევანის უფლება. უამრავი ძალა მოქმედებს დღევანდელ ხელისუფლებაში, რომელიც ერს აჭუცმაცებს და ცხადია, მის დაუძლურებას იწვევს. ყოველივე ამის გამო მოხდა, რომ ალტერნატივა საქართველოს არა ჰქონია. თუ ჩვენ მშვიდი ცხოვრება გვინდა, დამარცხებული, მაგრამ შედარებით მშვიდი, ალბათ ეს ესენგეში შესვლით მოხერხდება. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, ჩვენ ესენგეში შესვლით არავითარ შვებას არ მივიღებთ. ამ არჩევანში საშველი არ ჩანს. მე დარწმუნებული ვარ, რუსეთი აფხაზეთს არასდროს არ დაგვითმობს. ე. ი. ის შეიძლება იყოს საქართველოს რუქაზე, მაგრამ ფაქტიურად იქ ჩვენი გავლენა ნულის ტოლფასი იქნება. თუ იქნება გარანტია, რომ ჩვენ გავაკონტროლებთ ტერიტორიას ფსოუმდე, იქნება იქ ისეთი ხელისუფლება, როგორიც ჩვენ გვინდა, დაბრუნდებიან ლტოლვილები და ჩატარდება დემოკრატიული არჩევნები, მაშინ კიდევ შეიძლება რაღაცაზე ლაპარაკი, მაგრამ ამის გარანტიები არა გვაქვს და არც არავინ გვაძლევს. მე ვფიქრობ, რომ ბრძოლის გზა მაინც გვაქვს. შეიძლება საქართველო დარჩეს მხოლოდ თბილისში, და თუ ვიბრძოლებთ, გარკვეული სიმპათიები მსოფლიოსი ჩვენს მხარეს იქნება, ასევე სხვა ძალებისაც. რუსეთთან შეერთებით მე არა მგონია რაიმე შვება ვიგრძნოთ.

## პაატა კოღუაშვილი:

### პარლამენტის წევრი

„ესენგე“ გავს ფედერაციულ კავშირს, უნიტარულ პრინციპებზე აგებულს.დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლით საქართველო მიიღებს იმ სტატუსს, რაც საბჭოთა კავშირის პირობებში გაჰქონდა უკრაინასა და ბელორუსიას, როგორც გაეროს წევრ ქვეყნებს. ეკონომიკური თვალსაზრისით სიუხვის პერსპექტივას ვერ ვხედავ — იგი კიდევ უფრო მიგვაჯაჭვავს ე. წ. „საკავშირო სპეციალიზაციასა და შრომის დანაწილებას“. საქართველო ისევ ხელგაწვდილ მდგომარეობაში დარჩება. დღეს რუსეთი მხოლოდ საკუთარ ეკონომიკაზე ფიქრობს, ევროგაერთიანება და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები დახმარებას მისცემენ არა საქართველოს არამედ დსთ-ს, ჩვენ კი დსთ-ს საერთო ჯამიდან და გაცილებით ნაკლებს, ვიდრე დღეს. ჩვენ ფაქტიურად განვლილ პერიოდში საერთაშორისო დახმარებებმა გვიხსნეს, და არა რუსეთმა. ერთადერთი გზა დაგვრჩენია, გზა ეროვნული თანხმობისა, შრომისა და ბრძოლისა, ჭეშმარიტი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფულიც, იდეებიც

ცხინვალის ტელევიზიით გამოსვლისას, რუსეთის ფედერაციის სუბიექტის, ჩრდილო ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, რომ ფულადი დახმარება სამხრეთელი ოსებისათვის იმპერიის დედაქალაქიდან საკმაოდ დიდი ხანია და რეგულარულად მოდის. მინისტრმა განმარტა საქართველოს ჩრდილოეთში მოქმედი სეპარატისტების დახმარების ერთი მექანიზმი. კერძოდ. 1991 წელს მას მოსკოვიდან წამოღებული 200 მილიონი მანეთი (მაშინდელი კურსით ეს საკმაო თანხა იყო და სამჯერ აღემატებოდა ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ბიუჯეტს) ნაღდი ფული ჩაურიცხია ჩრდილოეთ ოსეთის ერთ-ერთ რიგით ბანკში, რომლის მეშვეობით ფინანსდებოდა ყველა საჭირო ღონისძიება სამხრეთში. ცხინვალი-ძარი-გუფთის ასაქცევი გზა, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ოსური სეპარატიზმის მატერიალურ მომარაგებაში, სწორედ ამ ფულით იქნა გაყვანილი. მინისტრის თქმით ფულადი დახმარების ოფიციალური წყაროები არც 1992—93 წლებში დამშრალა. აი ასე, ნელ-ნელა ყველაფერს თავისი სახელი ერქმევა.

## ვის ვაფინანსებთ და რისთვის?

1993 წლის 3 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილება, რომლის შინაარსიდან გამომდინარე, აღდგენილი უნდა იქნას ცხინვალის რეგიონის ეკონომიკა და სოციალურად დაცულნი იყვნენ ამ მხარის მცხოვრებნი. ამისათვის ამ რეგიონს გადაეცა დაგომისის ხელშეკრულებით ნაკისრი 500 მილიონი მანეთი, მაგრამ როგორც ე. წ. სამხრეთ ოსეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ევგენია ძაგოევა აღნიშნავს, ინფლაციის ტემპების გათვალისწინებით ეს თანხა უკვე აღარ არის საკმარისი, მითუმეტეს, რომ მისივე თქმით, რუსეთის საგანგებო კომისიამ ის ზარალი, რაც სამხრეთ ოსეთს მიადგა ქართველების სამხედრო და ეკონომიკური აგრესიით, მიწისძვრებით და წყალდიდობებით, განისაზღვრება 40 მილიარდი მანეთით, 1992 წლის სექტემბრის ფასებით.

ვის რა ზარალი მიადგა, ეს ჯერ კიდევ საკითხავი და დასათვლელია, მაგრამ თუ იციან 1993 წლის 3 ივნისის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შემოქმედებმა, რაში გამოიყენებდნენ იმ ფულს ოსი სეპარატისტები, რომელიც გაძვალტყავებულ საქართველოს მოაკლეს და მტერს მისცეს.

## მტრისგანაც უნდა ვისწავლოთ

ცხინვალის ფაქტობრივი ხელისუფლების აღმასრულებელ და საკანონმდებლო განშტოებებს შორის განხეთქილებისა და სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკების მიზეზი გახდა ფული. თორეზ კულუმბეგოვის განცხადებით ჩრდილოეთიდან მოვლინებულმა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ (აწ უკვე ყოფილმა) ოლეგ თეზიევმა მიითვისა 36 მილიარდი მანეთი (?!). თეზიევი დიდი მასშტაბის ბიზნესმენია, მაგრამ ასეთი მადა მაინც საკვირველია ეროვნული იდეებისათვის თავგადაკლული კაცისაგან. თვითონ თეზიევი კატეგორიულად უარყოფს ამ ბრალდებას და მოითხოვს გამოძიებას. სანამ ლიდერები ურთიერთობას არკვევდნენ, რაც თეზიევის გადაყენებით დამთავრდა, ცხინვალში მეორე ახალი ლიდერიც გამოძებნეს, ჩათვალეს რა, რომ თეზიევის ქურდობა სულაც არ არის ისეთი საკითხი, რომელიც ჩრდილს არ მიაყენებს თორეზ კულუმბეგოვს.

ისე, ხანდახან მტრისგანაც უნდა ისწავლოს კაცმა. ქურდები, თანაც უფრო დიდი მასშტაბისა, არც ჩვენ გვაკლია, მაგრამ რაღაც ვერ ვიხსენებ, მათ თანამდებობებზე დამნიშვნელებს რაიმე პასუხისმგებლობა ეკისრათ.

მერაბ მაისურაძე

### სიტყვა სტუდენტობას

# ჩვენ საქართველო უნდა გადავარჩინოთ

საქართველო დღეს უკვე ხულს ლაფავს. ქართველი ქართველს დაუპირისპირდა და ისე ითლად იმეტებს მოსაკლავად, რომ თვალსაც არ ახამხამებს. რამ გაგვიყინა ძარღვებში სისხლი? რამ დაგვაშორა ასე ერთმანეთს? ნუთუ პირველულ ბრძოლას უნდა შევწიროთ საქართველოს მომავალი? ნუთუ ადარაფრად აღარ გვიღირს უმწეო, უდანაშაულო და პოლიტიკაში სრულიად გაურკვეველი ბავშვების ხიცოცხლე, რომლებიც იმედიანად შემოგვცქერან თვითეულ ჩვენიანაგანს, მათი ნაღვლიანი თვალები შველას გვთხოვენ, გვთხოვენ ხიცოცხლის შენარჩუნებას და ჩვენ კი ჩვენი დაუნდობლობისა და შეურიგებლობის შედეგად ულმრთოდ ვაგვიანებთ (თუ უკვე არ დავაგვიანეთ) მათ გამოყვანას ხვანეთის მთებიდან. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, უნდა შევრიგდეთ და ყველამ ერთად გადავარჩინოთ საქართველო.

სამწუხაროდ ზოგიერთ ჩვენიანაგანს უკვე დაგვიანებულად მიაჩნია გასლეწილი საქართველოს შერიგება. მათგან განსხვავებით მე სულ სხვაგვარად ვფიქრობ. შერიგება გვიან არასდროს არ არის. სწორედ ახლა უნდა მოხდეს ურთიერთიგაგება და ხისხლისღვრის შეწყვეტა. სასარცხვინოა ყოველი ჩვენიანაგანის მიერ ქართველისათვის მასვილის ჩაცემა. ჩვენი ისტორიის მანძილზე ბევრი მაგალითი გვაქვს იმისა, რომ მტერი ცდილობდა საქართველო ქართველების გარეშე დაეტოვებინა, ყოველ შემთხვევაში ცდილობდა საქართველო ქართველების ურთიერთგადაკიდებითა და ურთიერთდალატით, ქართველების ხელითვე გაეანადგურებინა და ამით მოეპოვებინა თავისთვის გამარჯვება. დღესაც ხომ იგივე მეორდება. ჩვენი დღევანდელი მოქმედებით ხელს ეწყობით ისედაც ღანადგურებული საქართველოს საბოლოო დაცემას. ნუ ვისაათ ამას, თუ ჩვენ შერჩენილი გვაქვს ოდნავ მაინც ქართული ღირსება, თავმოყვარეობა, თუკი ისევ ჩქეფს ქართველებში ქართული სისხლი, თუკი არ დავიწყებია ჩვენი წარსული, თუკი ვფიქრობ ჩვენს მომავალზე, უნდა შევრიგდეთ, გავერთიანდეთ სამშობლოს ინტერესებისათვის და მისი თავისუფლებისათვის. უნდა ვიბრძოლოთ დაკარგული მიწების დროულად დაბრუნებისთვის, რასაც არაერთი ჩვენი ახალგაზრდა შეეწირა ზვარაკად ბრძოლის ველზე.

რაც მოხდა მოხდა, ნუ გადავაყოლებთ ერთ კაცს ყველაფერს. ჩვენ ხომ ის ქართველები ვართ, ვინც. 9 აპრილს მუხლმოყრილნი, დაზოქილნი სანთლით ხელში, ერთმანეთის გვერდით მდგომნი შევთხოვდით უფალს საქართველოს განთავისუფლებასა და დაკარგული პატიოსის დაბრუნებას. ისინა კიდევ ღვერთმა ჩვენი ვედრება და გაგვხადა თავისუფლების ღირსნი. ჩვენ კი ვერ მოუფარეთ საქართველოს. ვერ შევინარჩუნეთ თავისუფლება და დღეს კვლავ დაკარგეთ ის, რისთვისაც ამხელა მსხვერპლი გაკიღეთ და თურმე ტყუილად. მე არ მინდოდა მეხილა ის საქართველო, რომელიც ხელგაწვდილი, საკუთარი ხტომაქის გამო თავისუფლებას ერთ ნატეხ პურში გაცვლიდა, მე მართლა არ მინდოდა იმ საქართველოს ნახვა, ვინც დავიწყებდა თავისუფლების ფასს და კვლავ რუსეთის უღელს ნებით დაიდგამდა. მე არ მინდოდა მეხილა თავისუფლების დაკარგვით გახარებული ქართველები და გახარებული მხოლოდ იმიტომ. რომ სჯერათ, თითქოსდა თანამეგობრობაში შესვლით მაშინვე გაუმჯობესდება მათი ეკონომიური მდგომარეობა, რომ საჭმელ-საპალი უხვად ექნებათ და კვლავ გვექნება ის ძონძები, რაც უხვად ეყარა ჩვენში და რაც ფაქტიურად დღეს ერის თავისუფლებაში უნდა გაიცვალოს. თანამეგობრობაში შესვლა—გამოსვლა ისე მარტივიც არაა, ხატოვნად რომ გვიხსნიან ზოგიერთები და ისე მარტივად წარმოუდგენათ „ხნე“ გაძოსვლა, თითქოს ერთი ოთახიდან მეორე ოთახში გადასაცვლებაზე იყოს საუბარი. საქართველოს ზოგიერთი მოქალაქე კვლავაც ნდობით ეკიდება ღღეანდელი რუსეთის პოლიტიკას და ამით ან ფიქრობს, ან ფიქრობს, ჩვენ გვატყუებს. რუსეთში კვლავ მრავლად არიან რუსი იმპერიალისტები, რომლებიც საქართველოს დაგეშილები უყურებენ და ცდილობენ ისიც წაგვართვან რაც დიდი წვალებით გადარჩა რუსი მოძალადეებისაგან. რუსეთში არსებული დემოკრატია ცარიელი სიტყვებია, იგი მხოლოდ ლამაზი ნიღაბია, რომელიც ფარავს იმპერიის მახინჯ სახეს. მე ჩანდა ბატონ სახელმწიფოს მეთაურს ვთხოვო საქართველოსთვის თავისუფლების შენარჩუნება. უბრალოდ მახსენდება საქართველოს ისტორიული მოვლენა, როდესაც ლუარსაბ II-ს შემოესვენან გარს შერამდინ ბარათაშვილები და სხვები, რომლებიც ყველანაირად ცდილობდნენ დაეცვათ ბინათ ირანის უფრებლობა ჩვენი საშობლოსათვის და სთხოვდნენ მეფეს, მოეწერა ხელი საქართველოსთვის დამპყრელ დოკუმენტზე. დღეს კი ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე ცდილობს რუსეთი ერთადერთ მხსნელად მოგვიელინოს და აგიტაციას ეწევიან „სნგ“-ს უნიკალურობაზე. ბატონო ედუარდ, გთხოვთ ჩემი და თითქოს მთელი საქართველოს ახალგაზრდობის სახელით, გამოსახოთ სხვა გზა სხისა. თქვენ ეს არ გაგიჭირდებათ, თქვენ ხომ მსოფლიოში აღიარებული პოლიტიკოსი ბრძანდებით. თითქოს თქვენზეა დამოკიდებული საქართველოს ბედი, მისი თავისუფლება. დე. ისევ ჩვენ გადაკიტაროთ ყველა ის ტკივილი, რაც გარდუვალია თავისუფლების შენარჩუნებისათვის, ვიდრე ჩვენს მომავალ თაობას მოუხდეს კვლავ ბრძოლა მისი ხელახალი მოპოვებისათვის. და მაინც დღეს საბოლოო გადაწყვეტი სიტყვა პარლამენტს ეკუთვნის. მე მჯერა მათი. მჯერა, რომ ქართული სული გაიმარჯვებს და არ მოხდება მათი თანხმობა, რაც ჩემი აზრით საქართველოს საბოლოო დაღუპვას უდრის. გთხოვთ, ნუ დაუჯერებთ რუსეთის ცდუნებას. ნუღარ მოვიტეხეთ თავს, ჩვენ ხომ არაერთხელ ვყოფილვართ რუსეთისაგან მწარედ მოტყუებულნი. იგი კვლავაც ცრუ პოლიტიკის მატარებელია.

ჩვენ თავისუფალი საქართველოს შვილები ვართ. არ შეიძლება დავდგეთ იმ რუსეთიან, რომლის გამოც არაერთხელ დაღვრილა უმწეოთა სისხლი. ნუ დავიწყებთ იმ წუთებს, რომლებსაც რუსეთმა 1921 წელს არნახული სისხლისღვრა მოაწყო ჩვენს მიწაზე, ნუ დავივიწყებთ 1956 წლის 9 მარტს, როდესაც რუსეთმა ხიშტებზე ააგო ჩვენი სტუდენტობა, ნუ დავივიწყებთ ბრძოლას, რომელიც გაჩაღებული იყო ქართული ენის წარმოებით, ნუ დავივიწყებთ იმ 9 აპრილს, როდესაც სიტულვილით გულანთებულმა, გალეშილმა რუსებმა დაგვიხოცეს ქალიშვილები, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ქართველები იყვნენ, ნუ ვიქნებით გულმავიწყნი და გავიხსენოთ ისიც, როდესაც რუსეთში ატაცებული იყო ლიზუნგი სიტყვებით „საქართველო უქართველებოდ“. აი საიდან აქვს ორიენტაცია აღებული რუსეთს. გარა მათი მეშვეობით არ მოხდა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დაკარგვა, ამდენი სისხლისღვრა. და იქნებ მიაღწიონ კიდევ მიზანს, იქნებ აუხდეთ კიდევ ნატვრა და დაიყოს კვლავ ქართველების ხელოვნურად გარუსება ისე, როგორც ხდებოდა წლების მანძილზე და ფაქტიურად საქართველო თანდათანობით კარგავდა თავის სახეს.

ჩვენ, საქართველოს ახალგაზრდებს მხოლოდ თავისუფალი საქართველო გვინდა, ჩვენში ჩაკვდა ის მონური ფსიქოლოგია, რომელსაც 70 წელი იტულებით, მაგრამ მაინც მორჩილად ვატარებდით. ჩვენ ის ქართველები ვართ, ვინც ყველაზე მაღლა ქართულ ღირსებას აყენებს და ვინც ვერ შეურიგდება თავისუფლების დაკარგვას.

და მაინც დღეს უპირველესია ჩვენი ქართველების შერიგება, რათა შეწყდეს ბოლოსდაბოლოს ის სამარცხვინო ბრძოლები, რომლებიც საქართველოს უფსკრულისკენ მიაქანებს. ხელი ჩავკიდოთ ერთმანეთს, გადავხვიოთ ძმური სიყვარულით, შევუტევოთ ის შეცდომები, რაც გვაქვს და ვილოცოთ ჩვენს ერთადერთ სალოცავზე. იქნებ ღვერთმა კიდევ ერთხელ გადმოგვხედოს მოწყალე თვალით, იქნებ გადავარჩინოთ ჩვენი საქართველო.

რევაზ ლომაური

მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ჰუმანიტარული ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი.

## სიკეთის ნერგი იხარებს

### ქალაქ ჭიათურის გამგებელს ჯემალ გურულს

ბატონო ჯემალ!

ჩვენი ერისთვის ამ ძნელბედობის ჟამს, რა თქმა უნდა. ჭიათურაც მიიღებს აფხაზეთიდან ნაძოსულ ლტოლვილთა დიდ ჯგუფს. რის გამოც, მინდა ჩემი მცირე წვლილი შევიტანო ერთი ოჯახის დაბინავების საქმეში მაინც.

სოფელ ითხვისში მე და ჩემს უმცროს ძმას გვაქვს მშობლების მიერ დანატოვარი ორსართულიანი სახლი, რომლის ნახევარი ჩემს კუთვნილებაშია. აღნიშნული ბინა ამ ოთხი წლის წინათ გავარემონტე, ამჟამად როგორ მდგომარეობაშა არ ვიცი, წელიწადზე მეტია აღარ მინახავს, მეზობლების იმედად მაქვს დატოვებული. მჭამს რომ ცხოვრება შეიძლება.

ძალიან დიდი სურვილი მაქვს, ჩემს კუთვნილ ბინაში შეასახლოთ ერთ-ერთი ლტოლვილის ოჯახი. იცხოვრონ შიგ რამდენ ხანსაც საჭირო იქნება მათთვის. იმედი მაქვს, ჩემი თანასოფლელები, როგორც ჩემს ოჯახის წევრებს, ისე მოექცევიან მათ, ყურადღებას არ მოაკლებენ. მათთვის ესოდენ უდიდესი განსაცდელისა და გაჭირვების ჟამს. დაეხმარებიან ყოველმხრივ, აგრძნობინებენ დიდ ადამიანურ სიობოს, მხარდაჭერას, როგორც ეკონომიკურ, ისე სულიერი თვალსაზრისით.

წინასწარ გიხდით მადლობას თქვენ და ჩემს თანასოფლელებს, ჩემი დიდი სურვილის დაკმაყოფილებაში.

კატივისცემით

ავთანდილ მეგრელიშვილი

მწერალი

# ერთმორწმუნეობის სინდრომი

„ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ“ (ჰერაკლიტე).

მიხეილ მახარაძე

1993 წლის სექტემბრის ბოლოს სოხუმის დაცემას საბოლოოდ საქართველოს ძირძველი კუთხის — აფხაზეთის რეალი ოკუპაცია მოყვა. ამ დამარცხებაში დიდი როლი შეასრულა შინაურმა ღალატმა. მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა მარცხის მთავარ მიზეზად ღალატი ჩაგვეთვალა. სინამდვილეში ეს ღალატიც ქვეყანაში არსებული ორმაგ კრიზისების ერთი კონკრეტული გამოხატულება გახლდათ.

ყოველი დამარცხების შემდეგ, საერთ მარცხის მიზეზების სადი გონებით ანალიზი დაიწყებოდეს, ადგილი აქვს ანალოგიურ დასკვნებს: „ყველაფერი ჩვენი ბრალია“, „არ ვიყოვლეთ თავისუფლების ღირსი“, „უფრო მეტის ღირსნი ვართ“ და ა. შ. ამგვარი განაჩენის გამოტანა კი ისევე მოკლებულია საფუძველს, როგორც მითი ქართველი ხალხის განსაკუთრებულობაზე. თუ ჩვენ ვამბობთ დემოკრატიული სახელმწიფოს აშენებას და ცივილიზებული საქართველოს ნაგებობას, ამ მიზნის მისაღწევად უპირველესად თავი უნდა დავანებოთ განსაკუთრებულობის სინდრომს. შეუგუთ იმას, რომ ჩვენ, ქართველები ჩვეულებრივი ხალხი ვართ თავისი ღირსებებითა და ნაკლოვანებებით, ადამიან-დაღმართებით...

ბოლო ხანებში საქართველოში მოსდარი ამბები კიდევ ერთხელ ცხადყოფს ამ უტყუარ ჭეშმარიტებას. რომ შარასწელი ორი საუკუნის განმავლობაში საქართველოს ყველაზე დიდ დამარცხებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს რუსეთის ფაქტორი. ამით ჯერაც არ ვამბობთ რუსეთის სახით ძალიდან მტრის ხატი ნამდვილად ხალხ ეროვნული მოძრაობის ახალს ტალღას, რომელსაც სათავეში ედგა ილია. მაგრამ ილიას საქმეს დუმბრისბრდა რუსეთში განსაკუთრებით აღმოცენებული უნიტარული მსოფლმხედველობა — მარქსიზმი, რომელსაც იმავითვე საქართველოში აქტიური და საკმაოდ მრავალრიცხოვანი მიმდევრები გამოუჩნდნენ. საბოლოოდ ილია ამ მსოფლმხედველობის მიმდევრია გამიზნული ტერორის მსხვერპლი შეიქნა, რითაც ქართველ ხალხს დიდი ხნით დეკარგა ორიენტაცია.

1917 წლის ოქტომბერში რუსმა მარქსისტებმა სახელმწიფო გადატრიალება მოახდინეს და ხელისუფლების სათავეში მოექცნენ. მაგრამ ამით რუსეთის ისტორიული პოლიტიკა პატარა ერების მიმართ არ შეცვლილა. პირიქით, მარქსიზმის იდეოლოგიით შეიარაღებული ბოლშევიკური რუსეთი წინა ეპოქაზე წამოწევს კლასობრივი ბრძოლის საკითხს, რითაც უდანაკარგოდ ეროვნულ პრობლემატიკას და მით უფრო დახვეწს ანიმოზიციის ხერხებსა და მეთოდებს.

საბჭოთა წყობილების დროს განსაკუთრებული გაქანება მიეცა მანქურთიზმს, რამაც დიდი ზიანი მოუტანა პატარა ერებს, მათ შორის საქართველოსაც. სხვა პატარა ერებისაგან განსხვავებით, მანქურთიზმი საქართველოსათვის უფრო მტკივნეული აღმოჩნდა. ამის მიზეზი კი გახლდათ ის, რომ ბოლშევიკური წყობილების გამარჯვება-განმტკიცებაში ქართველ კომუნისტებს განსაკუთრებული წვლილი მიუძღოდათ. ამიტომაც, ამით აღფრთოვანებული ქართველი მანქურთები აქტიურად იბრძოდნენ საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ და იმპერიის ინტერესებს განსაკუთრებული ენთუზიაზმით ემსახურებოდნენ.

ზემოაღნიშნულან მჭიდროდა დაკავშირებული მსხვილის სანდროსის დამკვიდრება ქართველთა ერთი დიდი თავის მხრივ რუსეთს კეთილი დამორებების იქთ სტრატეგიული ინტერესებიც ჰქონდა საქართველოში, რაც ტერიტორიის გაფართოებას და საკუთარი ქვეყნის საზღვრების სამხრეთით გადანაცვლებას გულისხმობდა. რუსეთს კი, თავის ამ იმპერიული ამბიციების დასაკმაყოფილებლად დაუკლურებული საქართველო უკვრო ესაჭიროებოდა, ვიდრე ძლიერი. ამიტომაც არ იყო შემთხვევითი, რომ რუსეთი საქართველოს ძლიერ მტრებთან საბრძოლველად აქეზებდა, საბოლოოდ კი როგორც წესი გვერდზე დგებოდა. ამით გადამწყვეტად დუკლურდა საქართველო, რის სრული გამოხატულება იყო კრწანისის ტრაგედია. კრწანისის ომში დამარცხების შემდეგ, რუსეთის მხრიდან საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმება მხოლოდ დროის ამბავი იყო. აკი 1801 წლის დასაწყისში რუსეთმა ქართლ-კახეთი რუსეთის ერთ-ერთ გუბერნიად გამოაცხადა კიდეც.

ამის შემდეგ, 1811 წელს ერთმორწმუნე რუსეთმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმა და მას ნაცვლად საეგზარქოსო დაწესა. ნაბრძოლია, რომ 106 წლის განმავლობაში, ვიდრე 1917 წელს საქართველოს ეკლესია ავტოკეფალიას აღიდგენდა, გარდა პირველისა, ყველა ეგზარქოსი რუსი ეროვნებისა გახლდათ.

საქართველოს მართლმადიდებელური ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით რუსეთმა ქართველი ხალხის მეხსიერების წაშლის რიული პროცესი დაიწყო, რაც უფრო გააადვილებდა ქართველი ხალხის ასიმილაციას. მართალია ქართველი ხალხი ითლად არ ებრძოდა მტერს, იყო გამოსვლები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, 1832 წლის შეთქმულება, მაგრამ რუსეთი თანდათანობით, მეთოდურად ახორციელებდა თავის ჩანაფიქრს.

რუსეთის ასიმილატორული პოლიტიკა საქართველოში დიდად შეაფერხა ეროვნული მოძრაობის ახალმა ტალღამ, რომელსაც სათავეში ედგა ილია. მაგრამ ილიას საქმეს დუმბრისბრდა რუსეთში განსაკუთრებით აღმოცენებული უნიტარული მსოფლმხედველობა — მარქსიზმი, რომელსაც იმავითვე საქართველოში აქტიური და საკმაოდ მრავალრიცხოვანი მიმდევრები გამოუჩნდნენ. საბოლოოდ ილია ამ მსოფლმხედველობის მიმდევრია გამიზნული ტერორის მსხვერპლი შეიქნა, რითაც ქართველ ხალხს დიდი ხნით დეკარგა ორიენტაცია.

1917 წლის ოქტომბერში რუსმა მარქსისტებმა სახელმწიფო გადატრიალება მოახდინეს და ხელისუფლების სათავეში მოექცნენ. მაგრამ ამით რუსეთის ასიმილატორული პოლიტიკა პატარა ერების მიმართ არ შეცვლილა. პირიქით, მარქსიზმის იდეოლოგიით შეიარაღებული ბოლშევიკური რუსეთი წინა ეპოქაზე წამოწევს კლასობრივი ბრძოლის საკითხს, რითაც უდანაკარგოდ ეროვნულ პრობლემატიკას და მით უფრო დახვეწს ასიმილაციის ხერხებსა და მეთოდებს.

საბჭოთა წყობილების დროს განსაკუთრებული გაქანება მიეცა მანქურთიზმს, რამაც დიდი ზიანი მოუტანა პატარა ერებს, მათ შორის საქართველოსაც. სხვა პატარა ერებისაგან განსხვავებით, მანქურთიზმი საქართველოსათვის უფრო მტკივნეული აღმოჩნდა. ამის მიზეზი კი გახლდათ ის, რომ ბოლშევიკური წყობილების გამარჯვება-განმტკიცებაში ქართველ კომუნისტებს განსაკუთრებული წვლილი მიუძღოდათ. ამიტომაც, ამით აღფრთოვანებული ქართველი მანქურთები აქტიურად იბრძოდნენ საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ და იმპერიის ინტერესებს განსაკუთრებული ენთუზიაზმით ემსახურებოდნენ.

ზემოაღნიშნულან მჭიდროდა დაკავშირებული მსხვილის სანდროსის დამკვიდრება ქართველთა ერთი დიდი

დასასრული მე-7 გვ.

**ჩემნაირები ბევრნი არიანო — ამბობს თვითონ. ჩვენც ვიცით, ასეთები კიდევ არიან, და მაინც ვწერთ მასზე, ერთ მათგანზე, ვინც ქვეყანას იცავდა სოხუმში და ბოლომდეც დაიცავდა, სხვას რომ არ ეღალატა, იმას, ვინც მას არა ჰგავს...**

**დავით სართანია, ფირმა „დიზაინი და კეთილმოწყობა“ უფროსის მოადგილე, „თბილისელის“ წევრია მისი დაარსების დღიდან 1992 წლის იანვარში. შემ-**

**დეგ, მისი ლივიზიად ტარლაქნისა და შეიარაღებულ ძალებთან შეერთების შემდეგ თავის ძირითად პროფესიას — მშენებლობას დაუბრუნდა. მაგრამ დეკემბერში, როდესაც საჭირო გახდა, ოჩამჩირეში იბრძოდა ბატალიონის მეთაურად.**

* * *

— სოხუმში კოტე გაბაშვილის ტელეგამოსვლის შემდეგ წავედით 16 სექტემბერს. 35 ვიყავით და ქალაქში ორ ჯგუფად ჩავედით. თავიდან სოხუმის შემოგარენში სოფელ ბირცხას ვიცავდით, შემდეგ კი ქალაქის შუაგულში, ყაზბეგის ქუჩაზე გვქონდა პოზიცია ტელევანძის დასაცავად, მინისტრთა საბჭოს შენობიდან 150 მეტრში. დროდადრო აფხაზები აქტიურდებოდნენ, შემოგვიტევდნენ, მაგრამ ყოველთვის გვყოფნიდა ძალა, რომ პოზიცია განსაკუთრებული გართულებების გარეშე შეგვენარჩუნებინა. ასე გრძელდებოდა მთელი იმ ათი დღის გამმავლობაში, ქალაქის დაცემამდე. მაგრამ სამწუხაროდ, იმ ოცდათხუთმეტი კაციდან ყველაზე გადამწყვეტ მომენტში მხოლოდ თორმეტნი დავრჩით, და ასე მოხდა არა მხოლოდ ჩვენთან — დარწმუნებული ვარ, სოხუმი პანიკამ დალუპა. თბილისიდან დამატებითი ნაწილების ჩამოსვლამდე ხომ სამი დღის განმავლობაში მას მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობა იცავდა, შემდეგ კი ძალები უფროდაუფრო ემატებოდა. არც აფხაზებს ჰქონიათ რაიმე განსაკუთრებული ძალების კონცენტრაცია,რომ სოხუმს ასეთი ხიფათი დამუქრებოდა. ქალაქი კი მაინც დაეცა. დაეცა, მის დამცველებს ბოლოსდაბოლოს გული გაუტყდათ, რადგან მათ ქობალიას დაჯგუფებამ უღალატა. იმ დღეების მანძილზე. რაც ს ახუმში ვიყავი, განუწყვეტლივ მესმოდა, აი, ახლა მოვა ქობალია, აი, ახლაო, მაგრამ დამხმარე ძალა ბოლომდე არ გამოჩნდა. ახლა კი გაირკვა, რაც მოხდა და რატომ, მაგრამ მაშინ ეს არ ვიცოდით და მასზე დიდ იმედს ვამყარებდით. ოჩამჩირის მხრიდან მხოლოდ დავით თევზაძე შემოგვეერთდა თავისი მებრძოლებით.

# სოხუმის ერთი დამცველი — დათო სართანია

თანდათან მეტი და მეტი ხალხი ჩნდებოდა, ვინც პოზიციას ტოვებდა, გარბოდა და სჩვასაც იყოლიებდა თავისი სულმოკლეობით. ეს იყო ჩვენი უბედურების მთავარი მიზეზი. ბევრი ხომ მხოლოდ ამიტომ იყო სოხუმში ჩამოსული, რომ შემდეგ სათქმელი ჰქოსოდა, „აფხაზეთში ვიბრძოდიო“, რეალურ საქმეში კი ბრძოლას თავი აარიდეს. ამ დღეებში ნათლად დავინახე, რომ ქვეყანას უკეთესია ჰყავდეს თუნდაც მცირე, მაგრამ მობილური და ძლიერი არმია, ვიდრე დიდი და მორალურად მოუმზადებელი. ხალხი, რომელიც მებრძოლად კი არა, მხოლოდ ავტომატის დასაჭერადაა ომში, ბრძოლას ყოველთვის წააგებს. ერთ მაგალითს მოვიყვან: სოხუმის სარკინიგზო სადგურს 200—300 კაცი იცავდა და იგი აფხაზებმა მაინც აიღეს, შემდეგ კი ჯაბა იოსელიანმა 30 კაცთან ერთად იგი 2-3 საათში უპრობლემოდ დაიბრუნა. პანიკა იმ კატერმაც გააძლიერა, რომელმაც რამოდენიმე ჩვენი თვითმფრინავი ჩამოაგდო და პრაქტიკულად გამოთიშა აეროპორტი და ნავსადგური.

ქალაქი მებრძოლებისაგან როგორ დაიცალა, ჩვენ ვერ გავიგეთ, რადგან ამ დროს პოზიციაზე ვიყავით. ბოლოსდაბოლოს მინისტრთა საბჭოდან დაგვიკავშირდნენ და ქალაქის დატოვება გვიბრძანეს. ასე დაიწყო ჩვენი ბრძოლა სოხუმში.

შემდეგ დაიწყო გზა სვანეთისაკენ აფხაზეთის სვანეთის გავლით. თავად გზა, უღელტეხილი მეტად ძნელი გასავლელია, მითუმეტეს დაღლილ-დაქანცული, მორალურად გატეხილი ხალხისათვის, მოხუცებისთვის, ბავშვებისთვის, იმათთვის, ვინც თავისი ავლადიდება ზურგზე მოიკიდა და მოაქვს, ვისაც არც საჭმელი აქვს და არც ტანსაცმელი. ბევრი საშინელება ვნახე იქ, მაგრამ ყველაფერს ვერ მოვყვები, გახსენებაც არ მინდა. განსაკუთრებით იმან გამომიყვანა წონასწორობიდან, რომ უღელტეხილზე გვხდებოდნენ ადგილობრივები და გვეუბნებოდნენ, სვანეთიდან იარაღიანს არავის გავუშვებთო. მებრძოლებთან მიდიოდნენ და იარაღის წართმევას ცდილობდნენ. მეც მომთხოვეს ყუმბარმტყორცნის ჩაბარება, მაგრამ არ მივეცი. ბევრმა კი, გულგატეხილმა, გამწარებულმა იარაღი იქ დატოვა. იარაღის დაკარგვას კიდევ შევეგუებოდით, მაგრამ საშინელება ის იყო, რომ ადამიანთა უბედურებაზე სხვები ხელს ითბობდნენ. ხელხმა, მათაც კი, ვინც მანქანებით იყო წამოსული, ჰატარა ფუთების გარდა ყველაფერი გზადაგზა გადაყარა, რადგან ტარება გაუჭირდათ. იმ ფუთებში ჰქონდათ ძვირფასეულობა, ფული — უკანასკნელი ქონება, რაც შერჩათ — იმასაც კი ართმევდნენ. ისე არ გამიგოთ, თითქოს ამას მთელ ადგილობრივ მოსახლეობაზე ვამბობდე, მაგრამ ასეთები სამწუხაროდ სხვებზე მეტად ჩანდნენ.

კარგის მეტი არაფერი მეთქმის იმ ხალხზე, რომლებმაც ლტოლვილები სოფლებში შეიფარეს, დააპურეს და მოუარეს. სამწუხაროდ მაშინ მთავრობის დახმარება არ ჩანდა. პურის გადმოყრა რომ მაინც მოეხერხებინათ უღელტეხილზე, ამდენი მსხვერპლი არ იქნებოდა.ყველაფერი, რაც გაკეთდა, ადგილობრივი ძალებით გაკეთდა. მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ გამოჩნდა ორგანიზებული დახმარება მთავრობის მხრიდან, თორემ იქამდე ისეთი გრძნობა იყო, თითქოს ხელისუფლებას დავიწყებული ჰყავდა ის გასაცოდავებული ადამიანები.

რამდენიმე დღეში გადმოგვიყვანეს მეომრები სვანეთიდან, იქ კი ათასობით ლტოლვილი დარჩა...

* * *

**ასე ყვება თავის განცდილს სოხუმის დამცველი ჯარისკაცი. ბევრი მოგვიყვებოდა ამასვე, ჩვენ კი ერთ მათგანზე ვწერთ.**

ესაუბრა
**თენგიზ ბოგოტიშვილი**

# „ესენგეი“, მისი დებულება და მისი რაობა

(მოკლე ანალიზი)

ნოდარ ნათაძე

### გაგრძელება

დება). ამგვარად, წევრ სახელმწიფოს მიერ საკუთარი პოლიტიკის განსაზღვრა, ფაქტობრივად გაუქმებულია. ხაზგასასმელია შემდეგი გარემოება: დებულების ტექსტი (რომელიც იურიდიულად უკიდურესად სუსტია) შეიცავს ბევრ ცარიელ ადგილს (მაგალითად არაა ნათქვამი, რა ხდება, თუ კონსენსუსი ვერ იქნა მიღწეული რაიმე საკითხზე, რომლის გადაჭრა აუცილებელია), ე. ი. შევსებას მოითხოვს. ამგვარად, ამ დოკუმენტის შევსება გარდუვალია. საკითხავია, სადაა გარანტია ან იმედი, რომ დებულების ეს პროცედურული მხარე არ განვითარდება წევრ სახელმწიფოებზე კონტროლის გაძლიერების, უნიტარული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ჩამოყალიბების მიმართულებით?

3. „ესენგეში“ საქართველოს შესვლის მომხრეები გვეუბნებიან, რომ ამ ორგანიზაციის უღელი არც ისე მძიმეა, როგორც საბჭოთა კავშირისა. არაა მართალი „ესენგეში“ ყოფნა ნიშნავს საქართველოს სახელმწიფოებრიობის არარსებობას, ვინაიდან სახელმწიფოებრიობის ძირითადი ფუნქციები ესენგეს საერთო ორგანოების ხელშია.

ერთობლივია: ა) საგარეო პოლიტიკა, ბ) თავდაცვა, საზღვრების დაცვის ჩათვლით, გ) საბაჟო სისტემა, დ) საბანკო-საფინანსო სისტემა, ე) „ეკონომიკური სივრცე“ საერთოდ და „ინფორმაციული სივრცე“ ანუ ინფორმაცია-დეზინფორმაციის განხორციელება ერთიანი გეგმის მიხედვით და პროცესთა (პირველ ყოვლისა ეკონომიკურ პროცესთა აღრიცხვის სისტემა) რომლის მიბმა რუსეთისაზე, დასავლეთის სიტუაციებისაგან გასხვავებულზე, ნიშნავს რომ ჩვენი ეკონომიკის დაკავშირებას დასავლეთისასთან, ამ უკანასკნელისა და ჩვენი ინფორმაციული გათიშვაც შეუწყობს ხელს. ეს ფუნქციები სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციებია და მათი გაერთიანება სხვა სახელმწიფოსთან საკუთარი სახელმწიფოებრიობის არარსებობის ტოლფასია. იმ პუნქტთაგან რომლებიც ესენგეს დებულებაში ამ თემას ეძღვნება, მოვიყვანთ მხოლოდ ერთი მუხლის ფორმულირებას:

„წევრ სახელმწიფოთა ერთობლივი საქმიანობის სფეროებს, რომელიც ხორციელდება თანასწორუფლებიან საფუძველზე საერთო მაკორდინირებელი ინსტიტუტების მეშვეობით თანამეგობრობის ფარგლებში წევრ სახელმწიფოთა ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად, განეკუთვნება:

ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების უზრუნველყოფა;

საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის კოორდინაცია;

თანამშრომლობა საერთო ეკონომიკური სივრცის, საერთოევროპული და ევრაზიის ბაზრების, საბაზრო პოლიტიკის ფორმირებასა და განვითარებაში;

.....

სოციალური და მიგრაციული პოლიტიკის საკითხები;

.....

თანამშრომლობა თავდაცვითი პოლიტიკისა და საზღვრების დაცვის დარგში;

ეს ნუსხა შეიძლება შეივსოს წევრ სახელმწიფოთა შეთანხმებით“.

11-ე მუხლში ვკითხულობთ, რომ წევრ სახელმწიფოთა შეთანხმებული პოლიტიკა ვრცელდება „შეიარაღებული ძალების მშენებლობაზე“ რაც იმას ნიშნავს რომ საქართველოს არ მიეცემა თავის არმიის თავისუფლად შენების და აღჭურვის საშუალება, ხოლო მუხლები 27 და 30 ლაპარაკობენ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოზე და თავდაცვის მინისტრების საბჭოზე, აგრეთვე „გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობაზე“ რომელიც ხელმძღვანელობს გაერთიანებულ შეიარაღებულ ძალებს რაც შეეხება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ერთ‹ ]ლივ უზრუნველყოფას (იხ. ზემოთ) ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ჩაგვერევიან ყველა არაქართველ ეროვნულ ჯგუფთან ურთიერთობის პროცესში მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს ადამიანის უფლებებისა და უმცირესობათა უფლებების დაცვის კონტროლირება მხოლოდ მსოფლიო (საერთაშორისო) ორგანიზაციების მიერ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — მეზობელი ცალკეული ქვეყნების ან ქვეყანათა ჯგუფის მიერ ეს ხიფათი — საქართველოს ხელისუფლებისა და საქართველოში მაცხოვრებელი არაქართველი ეროვნული ჯგუფების ურთიერთობაში ჩარევის ხიფათი მისი დარეგულირების მიზნით — ჩვენთვის განსაკუთრებით მძიმეა და მას „ესენგეს“ დებულების სხვა მუხლებშიც ვხვდებით. სახელდობრ:

4. „ესენგეს“ დებულებაში ნათლად და გამჭვირვალედაა ჩადებული ქართულ-არაქართული მოსახლეობის მომავალი კონფლიქტების ხელოვნური ორგანიზების თესლიც, რასაც გარდუვალად მოჰყვება, რუსეთის ხელშეწყობით, საქართველოს ტერიტორიული ავტონომიზაცია, დეზინტეგრაცია და რღვევა. ქვემოთ მოვიყვანთ სულ რამდენიმე პუნქტს მრავალთა შორის, რომელთა შავბნელი აზრი მხოლოდ მაშინ იქნება სავსებით გასაგები, თუ გავითვალისწინებთ, რომ „ადამიანის უფლებებში“ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი, ჩვეულებრივ, ეროვნული უმცირესობების ეროვნულ ტერიტორიულ ინტერესებსაც გულისხმობს, „ერებსა“ და „ხალხებში“ — ეროვნულ ჯგუფებს სხვის ტერიტორიაზე, ხოლო „ეროვნულ თვითგამორკვევაში“ — იმ ტერიტორიაზე (სხვის ტერიტორიათა!) სტატუსის თვითნებურ „გამორკვევასაც“, სადაც ეს ჯგუფები ცხოვრობენ. აი, რამდენიმე ასეთი ადგილიც (მოვყვებით თავიდან, ზოგის გამოტოვებით ადგილის ეკონომიის მიზნით):

პრეამბულაში: (წევრი სახელმწიფოები) „ავითარებენ თანამშრომლობას ერთმანეთს შორის საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფაში, აგრეთვე სამოქალაქო მშვიდობისა და ეროვნებათშორისი (არასწორი თარგმანია. უნდა: ერთაშორისი) თანხმობის დაცვის მიზნით“. გამოდის, რომ წევრი ქვეყნები ერთობლივად ზრუნავენ თითოეულ მათგანში, ეროვნულ ჯგუფთა ურთიერთობის მოგვარებაზე, ანუ ერევიან ერთმანეთის ცხოვრებაში ეროვნულ ურთიერთობათა რეგულირების მხრივ. იგივე აზრია პარ. 1-ში, სადაც ნათქვამია, რომ „თანამეგობრობა ხელს უწყობს წევრ სახელმწიფოთა შორის მეგობრობის, კეთილმეზობლობის, ეროვნებათშორისი (სწორი თარგმანია ერთაშორისი) თანხმობის... შემდგომ განმტკიცებას“.

პარ. 2. თანამეგობრობის მიზნებს შორის დასახელებულია „წევრ სახელმწიფოთა მოქალაქეებისათვის დახმარების გაწევა... თავისუფალ ურთიერთობაში კონტაქტებსა და გადაადგილებაში“ აღსანიშნავია, რომ აქ იკვეთება დემოგრაფიული ანტიქართული ამოცანაც: პარტნერები ხელს უწყობენ არაქართველთა მასის თავისუფალ გადაადგილებას საქართველოსკენ და პირუკუ. (იგივე შინაარსია ჩადებული პარ. 19-ში, სადაც ლაპარაკია სამუშაო ძალის თავისუფალ გადაადგილებაზე წევრ სახელმწიფოთა შორის).

პარ. 3. „ესენგეს“ პრინციპთა შორის დასახელებულია წევრ სახელმწიფოთა „ძალისხმევის გაერთიანება და ერთმანეთისთვის მხარდაჭერა (ანუ ურთიერთჩარევა. ნ. ნ.) თანამეგობრების წევრ სახელმწიფოთა ხალხების ცხოვრების მშვიდობიანი პირობების შექმნის მიზნით, მათი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროგრესის უზრუნველსაყოფად“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სხვანი (და არა საქართველო) გადაწყვეტენ, საქართველოში მოსახლე რომელ ეთნიკურ ჯგუფს რა სჭირდება თავისი პროგრესისათვის და „გააერთიანებენ თავიანთ ძალისხმევას“, საქართველოს უკითხავად, რათა ამ ჯგუფს საქართველოს ტერიტორიული და სხვა რესურსებით, პირობები შეუქმნან ამის მისაღწევად.

პარ. 16. ავალებს წევრ სახელმწიფოებს გამოიყენონ „ყველა შესაძლო ღონისძიება კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად“ თითოეულ ცალკე ქვეყანაში (ანუ ჩაერიონ ყველა მეთოდით. ნ. ნ.) „უწინარეს ყოვლისა, ეროვნებათშორის (უნდა: ერთაშორის) და კონფესიათშორის საფუძველზე“. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ პარტნიორებს (წაიკითხე: რუსეთს) უფლება ენიჭებათ ცალსახად აკონტროლონ ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკა ეროვნულ უმცირესობებთან ურთიერთობაში.

5. ცალკე გამოსაყოფია ტერიტორიული დავის აღძვრისა და რეგულირების საკითხები. „ესენგე“ ამ უფლებასაც თავისთვის იტოვებს. მაგალითად პარ. 9-ში აღიარებულია პრინციპად „სახელმწიფო საზღვრების ურღვევობა, არსებული საზღვრების ცნობა და უარი სამართალსაწინააღმდეგო ტერიტორიულ შენაძენებზე“ (და არა ნებისმიერ ტერიტორიულ შენაძენებზე), რაც ნიშნავს „ესენგესთვის“ იმის განსაზღვრის უფლების დატოვებას, რომელი შენაძენია სამართალსაწინააღმდეგო და რომელი — არა.

6. ტერიტორიული დავის თემას ბუნებრივად უკავშირდება „ესენგეს“ წევრ სახელმწიფოთა შორის ომების თემა, ანუ ასეთი ომებისაგან წევრის დაცვის თემა. ასეთი დაცვა „ესენგეს“ დებულებაში არცაა ჩადებული და არც იგულისხმება, თუმცა „ესენგეს“ ქვეყნებს შორის ომი ფაქტია (აზერბაიჯანის „ესენგეში“ შესვლის შემდეგ სომხების შეტევა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გრძელდება).

როგორც ვხედავთ, არაა განსაზღვრული არც ომის აღკვეთის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, არც ჩარევის ვალდებულების მექანიზმი, არც „დაინტერესებულ“ წევრ სახელმწიფოთა მიმართ დანარჩენ წევრ სახელმწიფოთა დამოკიდებულების განსაზღვრის წესი. შესაძლო მეომარ მხარეთა ურთიერთობა მიშვებულია თვითდინებაზე თუმცა (იხ. ზემოთ ) „ესენგე“ იტოვებს უფლებას ჩაერიოს ნებისმიერ ეროვნულ ურთიერთობაში თავის შიგნით. ამგვარად „ესენგე“ იკუთვნებს სამხედრო სფეროში უფლებებს მოვალეობათა კისრების გარეშე ე. ი. იკუთვნებს უფლებას, სამხედრო ძალით დაარტყას ვისაც უნდა თავის შიგნით და არ თვლის თავს პასუხისმგებლად არცერთ ომზე თავის შიგნით. ეს იმას ნიშნავს რომ ესენგეში ყოფნა არაა ა[illegible]ვიდობისა და უსაფრთხოების გარანტი, რაც მითუფრო სახიფათოა, რომ რუსეთს ამ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ხელი აქვს აღებული პასუხისმგებლობაზე მისი მოქალაქეების შეიარაღებული მოქმედების გამო სხვა ტერიტორიებზე (მოლდავეთი, აფხაზეთი), რითაც უქმდება „ესენგეს“ დებულების (პარ, 3.) პრინციპებიც: „წევრი სახელმწიფოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ძალისა თუ ძალით დამუქრების გამოუყენებლობა“, ვინაიდან იგი ვერ გავრცელდება „ბოევიკებზე“ არამედ ვრცელდება მხოლოდ რეგულარულ არმიაზე.

7. დაბოლოს, „ესენგეში“ შესვლა-არშესვლის საკითხისათვის არსებითია, რაც მის დებულებაში არ წერია, მაგრამ არსებითი ადგილი უჭირავს მის მომხრეთა პროპაგანდაში: „ესენგე“ ეკონომიკურად დაგვეხმარებაო“. არ დაგვეხმარება! ვერ დაგვეხმარება და არ დაგვეხმარება იმის გარდა, რომ შესაძლოა პირველ ხანებში აგიტაციისთვის ერთი-ორი ლუკმა გადმოგვიგდოს, ხოლო შემდეგ ისევ გადაგვკეტავს საბჭოთა კავშირივით ეკონომიკური განვითარების და ჩვენ შესაძლებლობათა გამოყენების ყველა გზას. ამ ლუკმის ზომასა და წონაზე არც რუსეთს, არც მის ქართველ მომხრეებს ჯერ არაფერი უთქვამთ, ისევე როგორც სიტყვა არ დაცდენიათ იმაზე, რომ რუსეთი აფხაზეთის პრობლემის გადაჭრაში დაგვეხმარება. არ დაგვეხმარება და ვერ დაგვეხმარება, რადგან თავისსავე ავტონომიებთან და ყოფილ ავტონომიებთან (თუ ისინი მართლა გავიდნენ რუსეთის ფედერაციიდან) კონფლიქტს არ შეიქმნის. ამ დახმარების მოლოდინი ზღაპრის დაჯერებაა, რომელიც ჩვენ[illegible] [illegible] სისხლის [illegible].

დეტალებზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ამას ნაბეჭდი 5[illegible] გვერდი სჭირდება იმ შეგნებულად ბუნდოვან ფორმულირებათა მითითების ჩათვლით, რაც ტექსტშია დატოვებული, რათა [illegible] ბუნდოვანებანი ყოველთვის ძლ[illegible]ერის (რუსეთის) სასარგებლო[illegible] იქნენ გაშიფრული. დავუმატებ[illegible] მხოლოდ რამდენიმე ზოგად შ[illegible]ნიშნას, რომელიც ეხება „ესენ[illegible]გეში“ შესვლის იდეას საერთო[illegible] და რომელიც უკვე გამოქვეყნდ[illegible] „საქართველოს რესპუბლიკაში[illegible] ათიოდე დღის წინ.

პირველი და მთავარი. ჩვენ[illegible] შესვლა „ესენგეში“ კი ა[illegible] შეასუსტებს არამედ პირიქით[illegible] გააძლიერებს რუსეთის მტრულ[illegible] მოქმედებას ჩვენს წინააღმდეგ[illegible] ტაჯიკეთი იმთავითვე „ესენგეს[illegible] წევრია, მაგრამ რუსეთის ჯარ[illegible] ათჯერ მეტი სისხლი დაღვარ[illegible] იქ, ვიდრე ჩვენთან დაიღვარა [illegible] (და — მივაქციოთ ყურადღება[illegible] — დაღვარა ისე, რომ არავითარ[illegible] „ეთნიკური კონფლიქტის“ მოგო[illegible]ნება არ დასჭირებია). დღ[illegible] რუსეთს არა აქვს არავითარ[illegible] უფლებრივი (სამართლებლივ[illegible] საფუძველი ჩვენს შინაგან საქმ[illegible]ებში ჩარევისა და იგი მაინ[illegible]ერევა ჩვენს საქმეებში, თუნდაც[illegible] აფხაზეთის ომის ორგანიზაციი[illegible] სახით. ჩვენი ყოფნა „ესენგეში[illegible]მას უფლებას მისცემს, ჩვენ[illegible] შინაგანი მდგომარეობა აკონტ[illegible]როლოს, და იგი ამას გამოიყ[illegible]ნებს არა მხოლოდ აფხაზეთშ[illegible]ან ცხინვალის ზონაში, არამედ[illegible] ყველგან, სადაც ამას საჭიროდ[illegible] ჩათვლის. კერძოდ, იგი სისხლიან[illegible] კონფლიქტს შექმნის და მასში[illegible] ჩაერევა (ქართველს განაიარა[illegible]ღებს, ხოლო საქართველ[illegible] მტერს არა) ყველა იმ წერტილში[illegible] როძელსაც დღეს „ჩვენს სხეულშ[illegible] ჩადებულ ნელი მოქმედების ბო[illegible]მბებს“ ვუწოდებთ.

მეორე. ჩვენი შესვლა „ესე[illegible]ნგეში“ რუსეთისთვის არაა თვი[illegible]თმიზანი. ესაა მისთვის მხოლოდ[illegible] საშუალება თავისი მიზნების მი[illegible]საღწევად, სახელდობრ: საქართ[illegible]ველოს სახელმწიფოებრიობის[illegible] როგორც ასეთის, დათრგუნვისა[illegible] საქართველოს დემოგრაფიულ[illegible] ბალანსის შეცვლისა ჩვენს სა[illegible]ზიანოდ და საქართველოსთვის[illegible] ზღვისპირეთის წართმევისა საერ[illegible]თოდ. ეს უკანასკნელი მიზან[illegible] რუსეთისთვის განსაკუთრებით ძვ[illegible]რფასია, ვინაიდან ამით ი[illegible] მსოფლიო ოკეანისაკენ გზას გვ[illegible]კეტავს არა მხოლოდ ჩვენ, არამედ[illegible] მთელს ამირკავკასიასაც (მის უკ[illegible]მდგარი შუა აზიითურთ), რითაც[illegible] ერთის მხრივ, ამ რეგიონს თავ[illegible] „ჯიბეში“ იქცევს, მეორე მხრივ კ[illegible] შავი ზღვიდან იცილებს ერ[illegible]ფცირე, მაგრამ აქტიურ მეტოქ[illegible] (ზემოხსენებული რეგიონის სახით[illegible] რომლის აქტიურობა უფრო დ[illegible] უფრო გაიზრდება მომავალში[illegible] ვინაიდან მას სხვა გზა მსოფლ[illegible]ოსკენ არ გააჩნია.

თავის ამ მიზანზე რუსეთ[illegible]ნებით ხელს არ აიღებს, იგი ხელ[illegible] აიღებს მასზე მხოლოდ იმ შემ[illegible]თხვევაში, თუ ჩვენი მტკიცე დ[illegible] სწორი პოლიტიკით საკმარისად[illegible] გავუძნელებთ მას ჩვენი დათრგუ[illegible]ნვის ამ გეგმას, რაც, რა თქმ[illegible]უნდა, გამორიცხულია, თუ „ესე[illegible]ნგეში“ ვიქნებით.

მესამე. დღეს მსოფლიოს[illegible] მართავს მოწინავე ქვეყნების[illegible] („შვიდეული“ და სხვანი )ნება ოფ[illegible] საზოგადოებრივი აზრი მართავს[illegible] ძირითადში, კარგად, ანუ ისე[illegible] როგორც ჩვენი ხალხის მრავალ[illegible]თასწლოვან ტრადიციას, სურ[illegible]ვილს, ინტერესს შეესაბამება (პი[illegible]როვნების უფლებების დაცვა[illegible] ერის უფლებების დაცვა და ა[illegible]

# „ესენგე“, მისი დებულება და მისი რაობა

). დღეს მსოფლიო ჩვენს
არეზეა. იგი მართალია, ჯერ
ესტად, მაგრამ მაინც გვეხმა-
ება ჩვენს უთანასწორო
რძოლაში. თუ „ესენგეში“
ქნებით, მაშინ მსოფლიო ვერ
აგვეხმარება, ვინაიდან ჩვენი
ა რუსეთის ურთიერთობა
ესენგეს“ შინაური საქმე გახ-
ება. მოვიყვან მაგალითს.
ღეს, მიუხედავად ჩვენი დრო-
ბითი სამხედრო წარუმატებ-
ობისა, მსოფლიომ თქვა, რომ
ფხაზეთი საქართველოს ნაწი-
ია. „ესენგეში“ რომ ვყოფი-
ყავით, მსოფლიო ვერაფერს
ტყოდა ამ თემაზე რუსეთის
აუკითხავად.

მეოთხე. არაა მართალი,
ომ „ესენგე“ წარმავალი, და-
ლადი კავშირია. პირიქით: მას
განმტკიცების, შემჭიდროების
ტენდენცია აქვს საყურადღებოა,
რომ „ესენგეს“ დებულებაში,
რომელიც განვიხილეთ, ჩადებუ-
ლია რეგულირების უზარმაზარი
ვაკუუმი (ანუ დაურეგულირებ-
ლადაა დატოვებული აუარებელი
სხვადასხვა ვითარება, რომელიც
აუცილებლად გაჩნდება), რაც
იმას ნიშნავს, რომ ეს დოკუ-
მენტი აუცილებლად შეივსება
სხვა მარეგულირებელი დოკუმე-
ნტებით, რომლებიც „ესენგეს“
სტრუქტურას უნიკალურ სახელ-
მწიფოს სტრუქტურად აქცევენ!

დაბოლოს, მეხუთე: სტალინის
მიერ შექმნილი სსრკ-საგან გან-
სხვავებით, „ესენგე“ აღარ იქნება
მსოფლიოში მეორე მზარდი ინ-
დუსტრიული ძალა. იგი თანდა-
თანობით უკანა პლანზე გადავა
დიდ ეკონომიკაში სამრეწველო
კონკურენტუნარიანობის მხრივ
და ამ დასუსტებიდან გამომდი-
ნარე, იძულებული იქნება გაა-
დიდოს თავისი უმცროსი პარ-
ტნიორების (რესპუბლიკების)
ეკონომიკური, მორალური თუ
ადმინისტრაციული ჩაგვრის ხა-
რისხი. „ინტერნაციონალიზმი“,
რომელიც სსრკ-ში ნიღბავდა
რუსულ თვითმპყრობელობას,
აღარ იარსებებს. წარმოვიდგი-
ნოთ რას მოუტანს ეს იმ
არარუსებს, ვინც ვერ დააღწევს
თავს ამ იმპერიას, სადაც
უახლოესი ოცწლეულის მანძი-
ლზე თითქმის ყოველდღიურ
ნორმად იქცევა ისეთი სისხლი-
ანი შეტაკებები, როგორიც
დღეს მოსკოვში მიმდინარეობს!

დასკვნა ნათელია: ჩვენი ქვეყ-
ნის შესვლა „ესენგეში“ დღეს
არა მხოლოდ ჩვენი მომავალი
ისტორიის, არამედ ჩვენი დღევ
ანდელი თაობების ღალატიც
იქნებოდა. ვიყოთ ფხიზლად!

# აუცილებელი შენიშვნა

ჩემი ინტერვიუ „დრონში“,
ადაც ნათქვამია, რომ „ესენგე-
თვის“ ხელის ამწევი დეპუტატი
მსახურებს სასჯელის უმაღლეს
ომას და შესაძლოა, ამ სას-
ელს მიიღებს კიდეც, რა თქმა
ნდა, გულისხმობს სასჯელს
ხოლოდ სასამართლოს წესით,
და არა სხვა რამ წესით. მე
ქმის თქმის უფლება მაქვს
სანამდე, სანამ დეპუტატთა შო-
ის მეც ვარ. და, მაშასადამე,
ზემოთხსენებული მკაცრი პასუ-
ისმგებლობა მეც მეხება. სხვა
ამის ამოკითხვა ჩემს ინტერ-
ვიუში, უკანონობისკენ მოწოდე-
ბის ჩათვლით, ცილისწამებაა.
სერგო ორჯონიკიძე რომ ცოც-
ხალი ყოფილიყო აქამდე, იგი,
უთუოდ, გასამართლდებოდა,
როგორც სამშობლოს მოღალა-
ტე. იგივეა, ჩემის აზრით,
„ესენგესთვის“ ხელის ამწევის
იურიდიული მდგომარეობაც მო-
მავალში. ახლა რაც შეეხება
საქმის არსს. „ესენგეს“ დებუ-
ლებაში არის ჩვენი ქვეყნისათ-
ვის მომაკვდინებელი ისეთი პუ-
ნქტები, რომლებიც შეიძლება
დეპუტატს შეუმჩნეველი დარჩეს.
მაგრამ არის ისეთი მომაკვდი-
ნებელი პუნქტებიც, რომელთა
ვერშემჩნევა შეუძლებელია.

სხვა სიტყვით რომ ვთქვათ,
არის პუნქტები, რომლებთან
მიმართებაშიც ე. წ. „კეთილსინ-
დისიერი ცდომის“ სიმულაცია
შეუძლებელია. ეს პუნქტები ეხება
ჩვენი თავისუფლების დაკარგვასა
და უშუალო სასიცოცხლო ხი-
ფათის არსებობასაც, რაკი „ესე-
ნგეს“ არც დებულება, არც
პრაქტიკა არ იძლევა არავითარ
დამცავ მექანიზმს ამ ორგანიზა-
ციის შიგნით ომების აღკვეთი-
სათვის. აი, ეს გახლავთ ჩემი
მკაცრი მსჯელობის საფუძველი.

ნოდარ ნათაძე.

# გივი (ჰასანაგიჩა) ქარსაულიძე

27 სექტემბერს საქართველოს მოსახლეობისთვის, უთანასწორო ბრძოლაში დაეცა კიდევ ერთი თბილისელი ვაჟკაცი, დივიზია „თბილისელის“ წევრი გივი (ჰასანაგიჩა) ქარსაულიძე.

იგი დაბადა 1935 წელს ქალაქ თბილისში, დაამთავრა თბილისის 14-ე საშუალო სკოლა, მსახურობდა ყოფილ საბჭოთა არმიაში და ბედის უკულმართობის გამო, თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებულმა კაცმა, მონაწილეობა მიიღო 1956 წელს უნგრეთის ცნობილ მოვლენებში, თავისდაუნებურად იბრძოდა იმათ გვერდით, ვინც დღეს მის სამშობლოს ტერიტორიულ მთლიანობას ეცილება და მათივე ტყვეთით იქნა განგმირული.

მას არავითარი სხვა რეგალიები არ ამკობდა, გარდა კარგი და მართალი კაცისა, რომელსაც ერთი დღე არ გაუტარებია უქმად, მუშაობდა უხმაუროდ თავისი ხალხისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ. ასევე ჩუმად ყოველგვარი ხმაურის გარეშე, როცა სამშობლოს დასჭირდა, ჩადგა მის დამცველთა რიგებში. იგი მესამედ წავიდა აფხაზეთში ხანმოკლე შესვენების შემდეგ და კელარ დაუბრუნდა თა-ის ოჯახს, მეგობრებს და მის სათაყვანებელ ...ალაქს.

გივი (ჰასანაგიჩა) ...ლდა ქართული ფეხ-ბურთის მრავალრიცხოვან ქომაგთა არმიას, მას ... დრო დაუთმია ქართული ფეხბურთის პრობლემებისათვის, აქაც იგი იყო მართალი და მიუკერძოებელი პიროვნება, ეს მისი დიდი გატაცება იყო და ცხოვრობდა მისი ტკივილებით და დიდი სიხარულითაც. იგი კარგად ახსოვთ ვერისა და მუშტაიდის ბაღის ფეხბურთის „პროფესიონალ“ გულშემატკივრებს.

ასეთი იყო გივი ქარსაულიძე. კარგი კაცი, კარგი მეგობარი, კარგი მებრძოლი და მოქალაქე. მაგალითი იმის, თუ რიგორ უბრალოდ, ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე უნდა ემსახურო შენს ხალხს და სამშობლოს. ბევრმა გივის მონაწილეობა ომში მისი დალუპვის შემდეგ გაიგო.

ნათელი იყოს შენი ხსოვნა, მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა.

მეგობრები და თანამებრძოლები

# ეროვნულ-მორწმუნეობის სინდრომი

(დასასრული)

ილის ცნობიერებაში, რასაც თა-
ი ობიექტური საფუძველი ჰქონდა.
ართველოს საუკუნეების განმა-
ბაში საკუთარი სახელმწიფოებრი-
ა გაჩნდა, ჰყავდა მეფე, რომელიც
ისი ხალხის ჭირსა და ლხინს
ზიარებდა. სახელმწიფო დამოუკიდ-
ობის დაკარგვით ქართველმა ხა-
ლმა ამავე დროს დაკარგა თავისი
ბიმდელობიც მეფის სახით.

ამ ფაქტიდან 120 წლის შემდეგ
ეიის კუბერნიელი იმპერიის ხელ-
ველების სათავეში მოექცა ქართველი
ი. ქართველთა ერთმა დიდმა
ილმა თანდათანობით ირწმუნა,
ამ იმპერიის კეთილდღეობისათვის
ურეა ამავე დროს საქართველოსა-
ს ზრუნვაცაა, რადგან იმპერიას
ი კაცი უძღვება. ამ ილუზიამ
ში ჩამოაყალიბა ერთი კაცის,
გორც მხსნელის სინდრომი. ეს
დროში ჩვენში მუშაობდა და
მობს, ზოგჯერ ცნობიერად და
ზოგჯერ ქვეცნობიერად და მან
აკეთრებთ თავი იჩინა ბოლო
ებში. მხედველობაში მაქვს ძ
ეოება, რომ ორ დამეტრალურად
ინააღმდეგო მოფლმხედველობის
ლიტიკოსს ორი წლის ინტერვალით
ინაირი ენთუზიაზმით დაუჭირა
ი ხალხმა და ქვეყნის სადაეები
ბარა. ეს იმის მანიშნებელია, რომ
კერპთაყვანისმცემლობითაა შეპ-
ობილი, რასაც სიკეთე არ მოაქვს.

ასევე უკავშირდება აღნიშნულს
ბრძოლა ინფორმაციულ ომში.
ლა ჩვენ ინფორმაციულ ომს დიდი
ა ვაგებთ, ვაგებთ ჯერ კიდევ
ას დროიდან, როცა ერის მასას
ესებს შევიწრიება და საოცარი
ღვაობა დაპარალა. პრესაში გა-
ებულმა ამგვარმა კამპანიამ ილიას
ელლობის იდეური საფუძველი მო-
ადა. ეს იდეოლოგია გარკვეულ-
ად დღესაც მუშაობს ჩვენში,
ნ როცა, ჯერ მოგვიხერხებია
ილიას ცნობიერებაში, რასაც თა-
ი ობიექტური საფუძველი ჰქონდა.
ართველოს საუკუნეების განმა-
ბაში საკუთარი სახელმწიფოებრი-
ა გაჩნდა, ჰყავდა მეფე, რომელიც
ისი ხალხის ჭირსა და ლხინს
ზიარებდა. სახელმწიფო დამოუკიდ-
ობის დაკარგვით ქართველმა ხა-
ლმა ამავე დროს დაკარგა თავისი
ბიმდელობიც მეფის სახით.

ამ ფაქტიდან 120 წლის შემდეგ
ეიის კუბერნიელი იმპერიის ხელ-
ველების სათავეში მოექცა ქართველი
ი. ქართველთა ერთმა დიდმა
ილმა თანდათანობით ირწმუნა,
ამ იმპერიის კეთილდღეობისათვის
ურეა ამავე დროს საქართველოსა-
ს ზრუნვაცაა, რადგან იმპერიას
ი კაცი უძღვება. ამ ილუზიამ
ში ჩამოაყალიბა ერთი კაცის,
გორც მხსნელის სინდრომი. ეს
დროში ჩვენში მუშაობდა და
მობს, ზოგჯერ ცნობიერად და
ზოგჯერ ქვეცნობიერად და მან
აკეთრებთ თავი იჩინა ბოლო
ებში. მხედველობაში მაქვს ძ
ეოება, რომ ორ დამეტრალურად
ინააღმდეგო მოფლმხედველობის
ლიტიკოსს ორი წლის ინტერვალით
ინაირი ენთუზიაზმით დაუჭირა
ი ხალხმა და ქვეყნის სადაეები
ბარა. ეს იმის მანიშნებელია, რომ
კერპთაყვანისმცემლობითაა შეპ-
ობილი, რასაც სიკეთე არ მოაქვს.

ასევე უკავშირდება აღნიშნულს
ბრძოლა ინფორმაციულ ომში.
ლა ჩვენ ინფორმაციულ ომს დიდი
ა ვაგებთ, ვაგებთ ჯერ კიდევ
ას დროიდან, როცა ერის მასას
ესებს შევიწრიება და საოცარი
ღვაობა დაპარალა. პრესაში გა-
ებულმა ამგვარმა კამპანიამ ილიას
ელლობის იდეური საფუძველი მო-
ადა. ეს იდეოლოგია გარკვეულ-
ად დღესაც მუშაობს ჩვენში,
ნ როცა, ჯერ მოგვიხერხებია
ილიას უკრაინასა და ბელორუსიას,
რომლებიც ისედაც ახლობლები არიან
რუსეთის, მხოლოდ საქართველო იყო
მარლადიდებელური ქრისტიანობით
დაკავშირებული რუსეთთან. ამ სიახ-
ლეთვით კი ჩვენ ვზარალდებოდით
განსხვავებით სხვებისაგან, ვინაიდან
სწორედ ერთმორწმუნეობის გამო ჩვენ
არ გვქონდა რაიმე დამცავი მექანი-
ზმი, თუნდაც ისეთი, მუსლიმანურ
რესპუბლიკებს რომ გააჩნდათ ისლა-
მის სახით.

მოკლედ, ასეთია ზოგადად ის
გარემოება, რაც რუსეთთან საქართ-
ველოს დამოკიდებულებითაა განსაზ-
ღვრული და რაც დიდად ემარება
ერთმორწმუნეობის ფაქტორს. ეს ფა-
ქტორი ინერციით მუშაობს დღესაც.
გარკვეულ ძალებს დღესაც სჯერათ
რუსეთისა და კრიტიკულ ჟამს ერ-
თადერთ იმედად სწორედ ეს ქვეყანა
ესახებათ. ამის ნათელი დადასტურე-
ბაა საქართველოს რესპუბლიკის პა-
რლამენტის სპიკერის ერთი შეხედვით
მოულოდნელი განცხადება თანამეგობ-
რობაში (სნგ) საქართველოს აუცილ-
ებელი შესვლის შესახებ. ისე რომ
ბოლომდე არც გაუცნობიერებია ამ
განცხადების მოსალოდნელი შედეგე-
ბი, ზოგიერმა ეს ფაქტი კერძო (?!)
პირის განცხადებადაც მოსათვლა. ცი-
ნიზმი ამაზე მორს ვერც წავა! ასევე
თავის მოტყუებაა იმის მტკიცება,
რომ თანამეგობრობაში შესვლით-ყო-
ლფაში თავის გაყოფით, თავისუფლე-
ბასაც მოვიპოვებთ. და საქართველოს
მილიანობასაც უკეთ შეეინარჩუნებთ.

განსხვავებული რეაქციები სპი-
კერის განცხადებაზე ბუნებრივი იყო.
მაგრამ მას შემდეგ, რაც სახელმწი-
ფოს მეთაურმა ერთპიროვნულად მი-
იღო გადაწყვეტილება თანამეგობრო-
ბაში საქართველოს შესვლის შესახებ,
ყველაფერი ცხადი გახდა და ყველა-
ფერს დარჩა თავისი-სახელი. კერ-
ძოდ, გვინდა თუ არ გვინდა, საქმის
ვითარება ასეთ ლოგიკურ სახეს
იძენს: თავის დროზე ჭრელი საარ-
ჩევნო ბლოკის („შეიდობა“) ჩამოყა-
ლიბება, შემდეგ პარლამენტში უმრა-
ველესობის შექმნა და ბოლოს პარ-
ლამენტის ფუნქციერების შეჩერება
ერი მიზანს ეახურებოდა: თუკი
თანამეგობრობაში შესვლის აუცილე-
ბლობა დადგებოდა დღის წესრიგში,
არ უნდა ყოფილიყო ძალა, რომელიც
რეალურად შეუშლიდა ხელს ამ
გადაწყვეტილების განხორციელებას.

ეჭვს ბადებს ის გარემოებაც,
რომ თუკი თანამეგობრობა ხსნა იყო,
მაშინ რატომ თავიდან არ იქნა ეს
გათვალისწინებული და რის გულის-
თვის დაიღარა ამდენი სისხლი.
მითუმეტეს, რომ სახელმწიფოს მეთა-
ური თანამეგობრობას სულაც არ
მიიჩნევდა პანაცეად და უკიდურეს
შემთხვევაში მასში საქართველოს
შესვლისათვის რეფერენდუმის ჩატა-
რებას არჩევდა.

გაკვირვებას იწვევს იმის აღნიშ-
ვნაც, რომ ოქტომბრის დასაწყისში
მოსკოვში მოხდარი ამბების შემდეგ,
როცა გაიმარჯვეს დემოკრატიულმა
ძალებმა თანამეგობრობაში შესვლა
საშიში აღარაა. საინტერესოა თუ
მართლა გაიმარჯვეს რუსეთში დე-
მოკრატიულმა ძალებმა, მაშინ თანა-
მეგობრობის გარეთ ყოფნა რატომ
უნდა იყოს საშიში? ან კიდევ ასე,
როცა გვაძალებენ თანამეგობრობაში
შესვლას რა უნდა იყოს ამაში
სახარბიელო? რასაც თანამეგობრო-
ბაში შესვლით გვპირდებიან, რატომ
არ შეიძლება ყველაფერი ამის გა-
კეთება ურთიერთ ხელსაყრელი ხე-
ლშეკრულებების გაფორმების საფუ-
ძველზე? კითხვები რიტორიკულია,
მათზე პასუხები კი ცალსახა.

მკითხველს კარგად მოეხსენება,
რომ სპიკერის განცხადებას მოყვა
მინისტრია კაბინეტის სხდომა, სადაც
მხარი დაუჭირეს თანამეგობრობაში
შესვლას. არ მქონდა ბედნიერება
მენახა ამ სხდომის ტელეჩანაწერი.
ვინც ნახა, მათი აღიარებით ეს იყო
სიტყვაში გამოსულთა უმწეობისა და
პოლიტიკური უსუსურობის დემონსტ-
რაცია. მაგრამ რადა გეოქმის, როცა
ასეთი განწყობის პოლიტიკოსთა შე-
ხედულებები ედება საფუძვლად ქვე-
ყნის პოლიტიკური ორიენტაციის გა-
ნსაზღვრას.

მთავარი კი მაინც ისაა, რომ
თანამეგობრობაში შესვლით, ადრე თუ
გვიან კელავ მოგიწევს იმის გაკეთება,
რასაც ამდენი ძალა და ენერგია
შეეალიეთ. ამასთან ამ ნაბიჯით ჩვენს
შიაძმავლობას გადაეულოცეთ ჩვენი
გასაკეთებელი საქმე. საქმე, რომელიც
გარეგანმ ჩვენ დაგვაკისრა და რისთ-
ვისაც ამდენი სისხლი დაიღვარა, საქმე,
რაშიც გარკვეულ წარმატებებს შეგა-
ღწიეთ. ეს ამავე დროს ერის ღირ-
სების საქმეცაა, რადგანაც გადაუხვია
არჩეულ გზას, გზას, თავისუფლები-
საკენ რომ მიუყვდით (თავს ნურც
ითმ მოვიტყუებთ, რომ თანამეგობ-
რობაში შესვლით უკეთ მივხედავთ
რეგიონალურ პრობლემებს)

მოკლედ ცხადი შეიქმნა, რომ
საქართველო ამ მიჯნასთანაა, სადა-
ც მას დამოუკიდებლობის გზაზე ვერ
გაიყვანენ, ვერც ეროვნული მოძრაობის
დროშას ამოფარებული რეანბისტული
ფფებით შეპყრობილი თბილი სავარ-
ძლების მაძებელნი და ვერც სკამებს
ჩაჯდომული პოსტკომუნისტური ძალე-
ბი (ამგვარი რამ ამ უკანასკნელებს
გეგმაში საერთოდ არა ჭქონიათ და
გასაგები მიზეზების გამო არც შეიძ-
ლება ჰქონოდათ).

საჭირო ხდება ახალი გზების
ძებნა. იქნებ ეს იყოს მესამე ძალა,
რომელსაც აქვს მორალური უფლება
აქტიურად ჩაებას როგორც ქვეყნის
ორიენტაციის განსაზღვრაში, ისე მის
მოწყობაში. ამ მხრივ სხვებს შორის
გამოვარჩევდით მწერალ ოთარ ჭილა-
ძის პოზიციას (იხ. მისი „უსაიაური
წერილი“, „ლიტერატურული საქარ-
თველო“, 8 ოქტომბერი, 1993).

მაგრამ არა გვგონია, საბოლოოდ
მესამე ძალამაც შეძლოს ქვეყნის
გაყვანა ტრფული დამოუკიდებლობის
გზაზე, რადგანაც, როგორც ეს ისტო-
რიამაც არაერთგზის დადასტურა —
მონობაში დაბადებული არ ძალუძთ
ამ ბძმე ტვირთის წაღება. მესამე ძალას
ის მაინც შეუძლია, რომ საფუძველი
შეუშადოს ახალ თაობას, ქვეყნის
საბოლოო გამოსნისა და სრული
დამოუკიდებლობისათვის.

წერილს იმის აღნიშვნით დავამ-
თავრებთ, რომ, რასაც კომუნისტური
წყობილება ისტორიის კუთვნილებაა,
იმედია ვერც პოსტკომუნისტების მო-
რიგი მცდელობა მაღწევს საბოლოო
მიზანს— თანამეგობრობის სახით მო-
ხდეს კომუნისტური იმპერიის რეანი-
მაცია, რადგანაც ბერძენი ფილოსოფო-
სის ჰერაკლიტეს თქმისა არ იყოს
ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ
ვერ შეხვალ“. სხვათაშორის ჰერაკლი-
ტეს ამ აზრმა ათასწლეულებს გაუძლო
და მისი მართებულობა არაერთხელ
დადასტურდა ისტორიის მანძილზე

12.10.1993.

# ირინა გიგაური

ყველაფერი, რაც ჩვენს გარშემო ტრიალებს და რასაც ერთი საერთო სახელი — ბოროტება ჰქვია, სულის ამოთქმის საშუალებასაც არ გვაძლევს. ჩვენ ვერც კი ვასწრებთ ერთი უბედურების აღქმას და გააზრებას, რომ უმალვე მეორე გვატყდება თავს — უფრო შემზარავი, უფრო გაუგონარი, დაუჯერებელი...

და მაინც, ადამიანები სულ სხვაგვარად განვიცდით, როცა ბოროტება ჩვენს თვალწინ ხდება, როცა ბოროტი ხელი ჩვენ შეგვეხება, ჩვენს მეგობარს, ახლობელს, ნათესავს...

საზოგადოებისთვის შეიძლება მრავლისმთქმელი არ იყოს ასეთი ფრაზა: ტრაგიკულად დაიღუპა დამოუკიდებელი საინფორმაციო სააგენტო „იბერიას“ თანამშრომელი ირინა გიგაური... ამიტომ ვიტყვით — მოძალადეებმა, არაკაცებმა, რომლებიც დღეს ალბათ ამ ხმირის შ[illegible] ჩვ[illegible] გვერდით დადიან, მხეცური წამებით სიცოცხლეს [illegible] სრულიად უდანაშაულო ახალგაზრდა გოგონა...

ჩვენ წელს ერთად დავამთავრეთ თბილისის უნივერ[illegible] სიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. ერთად განვიცდ[illegible] დით, ერთად გვიხაროდა... ჩვენ მას ვეძებდით და დღ[illegible] თავზარდაცემულები ვართ, შეძრწუნებულები ვართ, გაო[illegible] გნებულები...

ირინა ჩვენი მეგობარი იყო...

ირინა ჩვენი მეგობარია...

ჩვენია...

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული...

მეგობრები

# საქართველოს სოციალური დაცვის პარტია

## პოლიტიკური პლატფორმა

საქართველოს სოციალური დაცვის პარტია ნებაყოფლობითი, თვითორგანიზებული ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებაა, რომელიც მონათესავე, წინამორბედი სოციალური სამართლიანობის და ქრისტიანულ-სოციალური კავშირის პარტიებისაგან განსხვავებით მიზნად ისახავს, სოციალურად დაუცველ ადამიანთა გამოვლენას და ჭეშმარიტი ფორმებით მათ დაცვას ქვეყნის მეფედების საფუძველზე.

ადამიანის სოციალური დაცვა და მისი მორალური სრულყოფა ხელს შეუწყობს ერის ყოფიერების და ზნეობის კიბეზე ახალი ეტაპის ნაბიჯებს. პრობლემის წარმატებით გადაწყვეტა და ერის აღორძინება, მაღალ განზომილებაში გადასვლით, მიუხლოვდება კაცობრიობის განვითარების ეპოქას, ცივილიზებული, დემოკრატიული ქვეყნის აუცილებელ მახასიათებელ ნიშნთვისებას, „ჰუმანიზმს“, რაც გამოიხატება მუდმივ სრულქმნაში, მარადიული თვითდაბრუნებით. ამ იდეალების მიღწევის საქმეში პარტიის შეგროვების წყარო იქნება ერის წარსულის სოციალური განვითარების პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიება ქრისტიანულ რელიგიაზე დაყრდნობით, პარტიის ქმედითი საქმიანობის სუბსტანტი იქნება ადამიანი. მისი გადარჩენა, დაცვა და ჯანსაღი გარემოს შექმნა. ამ პროცესში გათვალისწინებული იქნება მაი კუოხური წარმოშობა, ადათ-წესები, ხასიათი, ფსიქოლოგია და რა თქმა უნდა სოციალური პირობები.

პარტია იხელმძღვანელებს დემოკრატიზმის, ჰუმანურობის და ქვეყნმოქმედების საფუძველზე.

* * *

## საქართველოს სოციალური დაცვის პარტიის (სსდპ) წესდება

### I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს სოციალური დაცვის პარტია (შემდგომ სსდპ) არის თვითმართველობაზე დაფუძნებული მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს რესპუბლიკის კანონის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და თავისი წესდების შესაბამისად.

2. სსდპ წარმოადგენს იურიდიულ პირს, აქვს მრგვალი ბეჭედი, შტამპი, საანგარიშწორებო, საგალუტო და სხვა ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში და სხვა ატრიბუტიკა.

3. სსდპ ამყარებს საქართველოს და უცხოეთის პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანასწორუფლებიან კავშირებს პარიტეტულ საწყისებზე.

4. სსდპ იურიდიული მისამართია: საქართველოს რესპუბლიკა, ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზ. №144.

### II. სსდპ მიზნები და ამოცანები

5. სსდპ მიზნებს განეკუთვნება:

— კაცთმოყვარეობის, ჰუმანურობის, მოწყალების, სოციალური დაცვის, შრომითი დასაქმების, მშვიდობის პრინციპების დაკანონდრება;

— სათნოების საშახურების განვითარებაზე მარტოხელა, ხანდაზმული და შრომისუუნარო მოქალაქეებისადმი ბინაზე სამედიცინო და სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე ზრუნვა;

— სოციალურად დაუცველ ადამიანთა: ავადმყოფთა, ხანდასაბულთა, ომის ინვალიდთა თავშესაფრებში მოწყობაზე ფიზიკულტურულ-გასაჯანსაღებელი კურების და დაწესებულებების ორგანიზაციაზე ზრუნვა;

— უმუშევარი, ჯანმრთელი და შრომისუნარიანი ადამიანების დასაქმებაზე, მათ შრომით საქმიანობაში ჩართვაზე ზრუნვა;

— ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა და სანიტარული კულტურის ამაღლებაზე ზრუნვა;

— სტიქიური უბედურების, კატასტროფების, ავარიების, შეიარაღებული შეტაკებების შედეგად დაზარალებულ ადამიანებზე მზრუნველობაში მონაწილეობა;

— დინორული მოძრაობის გაშლა და პროპაგანდაში აქტიური მონაწილეობის მიღება;

— ახალგაზრდობასთან მჭიდრო ურთიერთკავშირი, მათი პარტიის საქმიანობის ძირითად პრინციპებზე აღზრდა;

— საომარი კონფლიქტების და საგანგებო მდგომარეობის დროს მოსახლეობისათვის და შეიარაღებული ძალებისათვის დახმარების აღმოჩენა, როგორც ბრძოლის ველზე ასევე ზურგში, თანახმად საზოგადოების მიზნებისა და ამოცანებისა;

— საპატიროებში და შრომა-აღმზრდელობით დაწესებულებებში მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა;

— ინტელექტუალურ ადამიანთა გამოვლენა და მათი გამოყენება სრული დატვირთვით;

— ადამიანის უფლებების და ღირსების დაცვა;

— სხვა საქმიანობის გაშლა, რომელიც შეესაბამება წინამდებარე წესდებას და საერთაშორისო კონვენციებს.

6. თავისი მიზნებისა და ამოცანების შესრულებისათვის პარტიას შეუძლია კომისიების და კომიტეტების ჩამოყალიბება და დაფინანსება. საჭირო ღონისძიებათა (კრება, სემინარი, მიტინგი და ა. შ.) ორგანიზაციების განხორციელება.

7. სახელმწიფო ორგანოებში წინადადებით შესვლა, საკანონმდებლო ინიციატივის უფლების გამოყენება, უფრო მოქნილი და პროგრესულ-სამართლებლივი საშახურის დაარსების მიზნით.

8. პრესის და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების დაფუძნება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### III. ორგანიზაციული სტრუქტურა

9. პარტიის ორგანიზაციული წყობა ეფუძნება ტარიტორიულ პრინციპს, პირველადი სტრუქტურული ჯგუფები იქმნება წევრთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, თითოეულ ჯგუფში გაერთიანებული უნდა იყოს 3 წევრი მაინც.

რეგიონში, სადაც არ არსებობს პარტიული უჯრედი, დასაშვებია წარმომადგენლის შტატის დაშვება.

10. პარტიის უმაღლესი ორგანოა ყრილობა, რომელიც ტარდება წელიწადში ერთხელ. ექსტრემალური მდგომარეობის შეჭნისას დასაშვებია რიგგარეშე ყრილობის მოწვევა.

11. ყრილობა უფლებამოსილია თუ მას ესწრება დელეგატთა ორი მესამედი, ყრილობა გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

12. ყრილობა ირჩევს ერთი წლის ვადით მთავარ კომიტეტს, რომელიც იქნება ყრილობებს შორის მმართველი ორგანო.

13. ყრილობა ისმენს და ამტკიცებს გამგეობებს, უწყებრივ კომისიებს, იღებს წესდებას და მასში შეაქვს ცვლილებები, რაზედაც აცნობებს მარეგისტრირებელ ორგანოს.

14. მთავარი კომიტეტი აყალიბებს დარგობრივ კომისიებს, უწევს კურირებას მათ მუშაობას და ატარებს სხდომას ორ კვირაში ერთხელ.

15. ყრილობისა და მთ. კომიტეტის გადაწყვეტილებები სავალდებულოა პარტიის ყველა წევრისათვის.

16. პარტიის წევრის გარიცხვას ან წევრობის შეჩერებას განსაზღვრავს მთ. კომიტეტი, ან ყრილობა.

17. რეგიონალური ორგანიზაციის წევრობა ამტკიცებს ყრილობა ან მთავარი კომიტეტი.

პარტია უფლებამოსილია მიიღოს მონაწილეობა ყველა სახის არჩევნებში.

### IV. პარტიის წევრთა უფლება-მოვალეობები

18. პარტიის წევრი შეიძლება გახდეს ყოველი მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი, აღიარებს პარტიის წესდებას, პროგრამას, იდეებს, არ არის სხვა პარტიის წევრი, იხდის საწევრო გადასახადს, რომელსაც წესდება, მოუძღვის პარტიის ჩამოყალიბებაში და მიზნების განხორციელებაში.

19.პარტიის წევრი ვალდებულია:

ა) დაიცვას წესდება და პროგრამა;

ბ) გაუფრთხილდეს პარტიის ავტორიტეტს და მის ქონებას;

გ) აირჩიოს და არჩეულ იქნას პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებში;

20. პარტიის წევრი უფლებამოსილია:

ა) შეიტანოს წინადადებები, შენიშვნები მთ. კომიტეტისა და ყრილობის გადაწყვეტილებებში;

ბ) გაუწიოს რეკომენდაცია პარტიაში შესვლის მსურველებს;

გ) გავიდეს პარტიიდან განცხადების საფუძველზე;

დ) პარტიიდან გარიცხვის, ან წევრობის შეჩერების შემთხვევაში 1 თვის ვადაში აპელაციით მიმართოს პარტიის მთავარ კომიტეტს, ყრილობას, ან სათანადო ოგანოებს.

21. პარტიის წევრს ეკრძალება:

ა) პარტიის სახელით მოქმედება მთ. კომიტეტის, ან რეგიონალური გამგეობების ნებართვის გარეშე;

ბ) პარტიის თაობაზე, მისი შინაგანაწესზე, ორგანიზაციულ ფორმებზე და პარტიის წევრების ჩვენების მიცემა;

გ) სხვა პოლიტიკური გაერთიანების წევრობა.

### V. პარტიის მატერიალურ-ფინანსური მდგომარეობა

22. შემოსავლის წყაროები:

— საწევრო გადასახადები;

— მატერიალური და ქონებრივი შემოწირულობები;

— სახსრები, მიღებული სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებების ჩატარების შედეგად (კონცერტები, ლექციები, კონფერენციები);

— გაზეთების, პლაკატების, ბროშურების და სხვა ბეჭდვითი პროდუქციის გაერცელების შედეგად მიღებული შემოსავალი;

— სახელმწიფო და კომერციული ბანკებიდან მიღებული კრედიტები;

— საქველმოქმედო ღონისძიებების ჩატარების შედეგად მიღებული შემოსავალი;

— სხვა კანონიერი წყაროებიდან მიღებული შემოსავალი;

— მოქალაქეების მიერ ანგარიშით დატოვებული მოძრავ-უძრავ ქონება და ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი.

23. პარტიის მთავარი კომიტეტი განსაზღვრავს ცენტრალიზებული სახსრების და ფონდების გამოყენების წესს და წარუდგენს ყრილობას დასამტკიცებლად.

### VI. სსდპ ლიკვიდაცია

24. პარტიის საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში ყრილობა ქმნის სალიკვიდაციო კომისიას, რომლის განკარგულებაში გადაცემა პარტიის ფულადი სახსრები ქონება.

25. პარტიის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება ნაწილდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

26. პარტიის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ ცნობა ქვეყნდება პრესაში.

**გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია სიხარულით ულოცავს კობა და ლელა ლიკლიკაძეებს ძალიშვილის — ნანოს შეძენას; უსურვებს ახალგაზრდა მშობლებს ჯანმრთელობას, ბედნიერებას და მრავალშვილიანობას.**


მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო
თენგიზ გოგოტიშვილი
ჯემალ კასრაძე
ვახტანგ კომახიძე
მერაბ მაისურაძე
სერგო ჯანაშია





გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

შეეფოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

ტელ:
რედაქტორი: 93-20-36,
მოადგილე: 93-18-41.
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

გაზეთის
ინდექსი 66447

ფასი
500 კუპონი

გაზეთი დაკაბადონდა კომპიუტერული წესით ფირმა „აგა“-ში

ტელ:
93—83—07, 29—49—60